საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

ოთხშაბათი-ხუთშაბათი, 12-13 მაისი. 2021 წ. №101-102 (9220-9221) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი



პირწავარდნილ დემაგოგ მელიას შარლ მიშელის „დოკუმენტი არ მოსწონს“!

მოვაწერთ თუ არა დოკუმენტს ხელს, ეს კითხვა ჯერჯერობით არის სამართლიანად პასუხგაუცემელი და ასე ხელაღებით არასერიოზულია საუბარი იმ დოკუმენტზე, რომელიც ძალიან ნაკლოვანიც არის და ბევრი კითხვის ნიშანი არსებობს ყველას მხრიდან, — აცხადებს ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე. ნიკა მელიას განმარტებით, კონსულტაციები დღეს დაიწყება.

„იქნება პირველი მოთელვითი კონსულტაციები. არც ერთი წუთის დაკარგვა აღარ შეიძლება. მიუხედავად იმისა, რომ ვართ შეზღუდულები „კომენდანტის საათიდან“ გამომდინარე, ერთი წუთის დაკარგვაც არ მინდა.

რაც შეეხება დოკუმენტს, რომელზეც თქვენ საუბრობთ, ძალიან ადრეა ამაზე ლაპარაკი. შეუძლებელია, მე რაიმე სახით დაზუსტებული საბოლოო პასუხი გაგცეთ მაშინ, როდესაც კონსულტაციები დღეს იწყება და რამდენიმე დღე დაჭირდება. არავის არ უნდა გაუკვირდეს და ნურავის ნუ ექნება ისეთი მოსაზრება, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდა. „ნაციონალური მოძრაობა“ მსხვილი პარტია ვართ. შიგნით არის არაერთი საჭირო კონსულტაცია. საბოლოო ჯამში კონსენსუსის საფუძველზე მივიღებთ გადაწყვეტილებას, გადაწყვეტილება იქნება ისეთი, როგორიც იქნება. მაღალი ალბათობით ჩატარდება კენჭისყრა და ეს გამოავლენს იმ პოზიციას, რომელსაც ვემხრობით.

რამდენჯერაც არ უნდა დამისვათ კითხვა, მოვაწერთ თუ არა ხელს, ეს კითხვა ჯერჯერობით არის სამართლიანად პასუხგაუცემელი და ასე ხელაღებით არასერიოზულია საუბარი იმ დოკუმენტზე, რომელიც ძალიან ნაკლოვანიც არის და ბევრი კითხვის ნიშანი არსებობს ყველას მხრიდან, მათ შორის უკვე ჩვენი მეგობარი კოლეგების მხრიდანაც კი, რომლებმაც უკვე მოაწერეს ხელი! მე მათ გადაწყვეტილებას პატივს ვცემ. მიკვირს, როდესაც ვინმეს აქვს განცდა, რომ ხვალ ან ზეგ მოვაწერო დოკუმენტს ხელი“..

13 მაისიდან ისევ ავმოძრავდებით!

საკოორდინაციო **საბჭოს გადაწყვეტილებით, 13 მაისიდან, მუშაობას ჩვეულ რეჟიმში განაახლებს ყველა დაწესებულება, ასევე, ნებადართული იქნება მუნიციპალური ტრანსპორტის მოძრაობა,** — ამის შესახებ, უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოსთან არსებული ოპერატიული შტაბის უფროსმა გიორგი ღიბრაძემ, უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ, მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

ამ ეტაპზე, ძალაში რჩება ღამის საათებში, 21:00-05:00 საათამდე გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვა.

დროულად დარეგისტრირდით და ჩაიტარეთ აცრა!

ძვირფასო თანამემამულენო!

მოქმედებს ცხელი ხაზი — 15 22, რომელიც მსურველებს აძლევს საშუალებას, კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო აცრის ჩასატარებლად ტელეფონით დარეგისტრირდნენ. აღნიშნულ ცხელ ხაზზე მოქალაქეებს ასევე გადაამისამართებენ — საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი — 112 და ერთიანი სამთავრობო ცხელი ხაზი — 144.

საბჭო მუდმივ რეჟიმში აკვირდება არსებულ ეპიდემიოლოგიურ ტენდენციებს და როგორც კი ეპიდემიოლოგიური ვითარება საშუალებას მოგვცემს, განხილული იქნება არსებული რეგულაციების შემსუბუქების შესაძლებლობა. უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო მოქალაქეებს კიდევ ერთხელ მოუწოდებს, გამოიყენონ პირბადე და დაიცვან სოციალური დისტანცია, რათა თითოეულმა ჩვენგანმა მაქსიმალურად შევუწყოთ ხელი ვირუსის გავრცელების პრევენციას და ცხოვრების ჩვეულ რეჟიმში რაც შეიძლება მალე დაბრუნებას...

მელიას აპრეხეხენი

მამა ციხის კარებთან დახვდა. ალბათ, თაფლწასმულ ცოტნე დადიანს არ შეხვდებოდა მამამისი ესოდენ კმაყოფილი და თავგამოდებული. დედამ კი, უკვე შინ, თავაწეულმა და სამასი არაგველის ერთ-ერთი დედის ხმით ჩაიძახა გვარამიას მიმარჯვებულ მიკროფონში: ნიკამ ორი-სამი თვე კარგად დაისვენა და ახლა ნახეთ, რა სიძლიერით შეუტიოსო „ოცნებას“... ერთი მხოლოდ პატარა ბიჭი იყო გულგრილი, სულაც არ შეუმჩნევია, რომ მამა მივლინებიდან დაუბრუნდა. სამაგიეროდ ფინიამ იცნო და უდუმაშვილივით და გვარამიასავით ვერა, მაგრამ მაინც მიეფერა, მიელაქუცა, ლოკვაც კი დაუწყო **და ასე გამოხატა თავისი ოპოზიციური სიხარული...**

მთავარი ინტერვიუ, ბუნებრივია, მთავარმა (მტარვალმა) აჩვენა.

ანონსად გვარამიამ გვამცნო, რომ ახლა ფირი ჭუჭყისგან სუფთავდება და საინფორმაციოს შემდეგ გიჩვენებთო, მაგრამ ჩვენებისას აშკარად ჩანდა, რომ ფირს პოლიტიკური ჭუჭყი და სიბინძურე ისევ შერჩენილი ჰქონდა, თანაც კარგა ბლომად!..

ნიკანორს არც ქვა აუგდია და არც თავი შეუშვერია, პირიქით, ისევ შუბლით დაეჯახა ჩვეული ახირებულობის ყრუ კედელს. მიშელის გირაო კი მიიღო, მაგრამ მიშელის დოკუმენტი თვალში არ მოუვიდა, თაკო მართალიაო, ძალიან ხარვეზიანი დოკუმენტიაო, ხელს არ მოვაწერო, საერთოდ ჩემს კოლეგებსაც არ უნდა მოეწერათო.

ციხის ამბავი გახსოვთ, ვერ დამიჭერენო, მერე კი — არ გამოვალო. ეს სიბრძნე ახლა პარლამენტზე გადაიტანა, პარლამენტში არ შევალო, ერთი სიტყვით, აქაც შესვლა-არშესვლის პოლიტიკა აამუშავა, და საქმის გაუთავებელი გაჯანჯლება-გაჭიანურებით განაგრძო საზოგადოების თავპირწამჭმელი, მომაბეზრებელი გლახაჭრიაშვილობა.

იხ. 2 გვ.

ფასები გარბიან, მთავრობა დასაჭერად მისდევს, მაგრამ ვერ ეწევა! 4

რატომ გახდა საგარეჯოში ახლად აღდგენილი წყლის სისტემა თავიდან გასაკეთებელი?! 6

40 წლის წინათ - 1981 წლის 13 მაისს თბილისის „დინამომ“ ევროპას დიუსელდორფის „რაინშტადიონიდან“ გადმოხედა

იხ. 10 გვ.

მელიას თუ თავმოყვარეობა აქვს, ე. წ. ჯანსაღი და სააკაშვილზე გაბრაზებული ძალები უნდა შემოიკრიბოს, სხვაგვარად ვერ გადარჩება 3

ირაკლი ღარიბაშვილი დღეს ოფიციალური ვიზიტით სომხეთის ეწვევა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი 12 მაისს ოფიციალური ვიზიტით სომხეთს ეწვევა. პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის ინფორმაციით, ვიზიტის ფარგლებში სომხეთის რესპუბლიკის მთავრობის რეზიდენციაში დახვედრის ოფიციალური ცერემონია გაიმართება.

ირაკლი ღარიბაშვილს სომხეთის რესპუბლიკის მოქმედი პრემიერ-მინისტრი ნიკოლ ფაშინიანი პირისპირ შეხვედრაზე უმასპინძლებს, რომლის შემდეგ გაფართოებული ფორმატის მოლაპარაკებები გაიმართება. შეხვედრების დასრულების შემდეგ, დაგეგმილია ირაკლი ღარიბაშვილისა და ნიკოლ ფაშინიანის ერთობლივი მიმართვა პრესისადმი.

საქართველოს პრემიერ-მინისტრთან ერთად, ერევანში მიემგზავრება ვიცე-პრემიერი, საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი.

საქართველოს საელჩო ისრაელში მცხოვრებ მოქალაქეებს აფრთხილებს!

„დაბეჯითებით ვაფრთხილებთ ისრაელში მყოფ საქართველოს მოქალაქეებს, მიმდინარე წლის 10 მაისს ღაზას სექტორიდან, ისრაელის მიმართულებით განხორციელებული სარაკეტო თავდასხმის გამო, ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა.

დაიცავით უსაფრთხოების ზომები, თავი შეიკავეთ ქუჩაში გასვლისგან! მოიკითხეთ რაკეტსაწინააღმდეგო თავშესაფარი თქვენს საცხოვრებელ ადგილთან ახლოს. არ გახვიდეთ აივანზე და მოერიდეთ ფანჯარასთან ყოფნას“, — აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

ჟეღია: აპრუწუწუნი

(პირველი გვერდიდან)

ალბათ, ამიტომაც არის, რომ ამ დღეებში ხშირად გაიგონებთ აღშფოთებულ მოქალაქეთა, უფრო სწორად, ამომრჩეველთა სამართლიან საყვედურს „ოცნების“ მიმართ: **რა გახდა, ბოლოს და ბოლოს, ეს ნაციონალური მოძრაობა და, კერძოდ, ეს მელია, რომელთაც ხალხის აზრი არაფრად არ მიაჩნიათ და თავიანთ მავნებლურს უბერავენ, არც პარლამენტს აძლევენ მუშაობის საშუალებას და არც ხალხს ასვენებენ თავიანთი საკანალიზაციო არხებით („მთავარი“, „პირველი“, „ფორმულა“, და მიტმასნული „კავკასია“). როდემდე შეიძლება, რომ ასე გაგრძელდეს! როგორც ჩანს, ოპოზიციის, კერძოდ კი, ნაციონალების ამდაგვარი ტაქტიკა და სტრატეგია გამიზნულია მხოლოდ იმისთვის, რომ ქვეყანა სწორი გზიდან გადაიყვანონ, დაგროვილ პრობლემებს ყურადღება არ მიექცეს და სახელმწიფო საბოლოოდ ჩამოშალონ, რაც, ცხადია, „ოცნების“ ბრალი იქნება, და ამ ბოროტი გზით მიაღწიონ საწადელს — ხელისუფლების ხელში ჩაგდებას.**

ეს, რასაკვირველია, ესმის „ოცნებასაც“, მაგრამ რატომღაც დღემდე წითელ კოჭს უგორებს პოლიტიკურად თავგასულ ნაციონალებს, იმის მაგივრად, რომ ნაციონალების ასეთი მავნებლური საქციელით შეღონებული ხალხის სახელით კეისარს კეისრისა მიეზღოს და ღმერთს ღმერთისა, „ოცნებას“ პარლამენტის კარი ყურის ძირამდე ღია აქვს და ხვეწნაზეა გადასული: **შემობრძანდით, ბატონო, მობრძანდით, დაიკავეთ თქვენი ადგილებიო...**

ნაციხარი დემაგოგი მელია კი ამ დროს ახალ შეტევაზე გადასვლას აპირებს და, როგორც სულგანათლებლული სოსო გრიშაშვილი იტყოდა, **აპრუწუწუნს უგზავნის „ოცნებას“,** რაც იმას ნიშნავს, რომ არც ისე დაგიტკბებით, რათა გადაგვყლაპოთ და ვერც ჩვენი სიმწრის გამო გადმოგვაფურთხებთო!..

ერთი სიტყვით, „ოცნება“ დიდი თავსატეხის წინაშე დგას.

შევალ-არშევალ, შემოდი, თუ შემოდიხარ!, — ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამთავრდეს!

ეს თვით ქართველი ხალხის კატეგორიული მოთხოვნაა! ხალხისთვის კი უმაძნისი დეპუტატების გარეკვის კონსტიტუციური უფლება ჯერ არავის წაურთმევია!

ნიკა მელია: ამნისტია საარაკო სიგიჟეა!

„ამნისტია საარაკო სიგიჟეა, რომლიც დაუშვა „ქართულმა ოცნებამ“ და ყველაფერს გავაკეთებთ ოპოზიცია, რომ ეს ასე არ იყოს“, — აცხადებს „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ნიკა მელია ამნისტიის შესახებ კანონში ცვლილებებზე დასმული კითხვის საპასუხოდ. **„ჩაწერი, რომელიც პროექტში გააკეთეს, თუ ძალაში დატოვეს, თეორიული შანსიც არ არსებობს, მე დავთანხმდე იმ სიგიჟეს, რომელიც ჩაწერეს“,** — აცხადებს ნიკა მელია.

ფრაქცია „ქართული ოცნების“ კანონპროექტში ვკითხულობთ: „სისხლისსამართლებრივი პასუხისგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლდეს ყველა პირი, რომელმაც 2019 წლის 19-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით ჩაიდინა დანაშაული და ამ კანონით დადგენილი წესით უარს არ აცხადებს მის მიმართ ამნისტიის გავრცელებაზე“.

მიხეილ სააკაშვილი: თუ უნდათ, რომ ნავალნივით დამაპატიმრონ, მე არ მეშინია

— ამის შესახებ საქართველოს ექსპრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა.

„ჩვენ ვკარგავთ ქვეყანას, რომელიც სუპერ წარმატებულად ითვლებოდა და რომლის რეფორმების შესახებ დღესაც მონოგრაფიებსა და დისერტაციებს წერენ. ამის მაგივრად, ჩვენ უეცრად შუასაუკუნეების ფეოდალური ოლიგარქატი მივიღეთ“, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა. რაც შეეხება ენმ-ს თავმჯდომარის ნიკა მელიას გათავისუფლებას, მიხეილ სააკაშვილმა რუსულ არხს განუცხადა, რომ ეს უპრეცედენტო შემთხვევაა, რომელიც ადასტურებს, რომ მელიას საქმე პოლიტიკურად მოტივირებული იყო...

„მივესალმები ნიკა მელიას საპატიმროში უკანონოდ ყოფნისგან განთავისუფლებას. აღფრთოვანებული ვარ მისი პრინციპულობით და შეუვალობით. მიმაჩნია, რომ მისი გათავისუფლებით იწყება ქართველი ხალხის ბრძოლის მნიშვნელოვანი ახალი ეტაპი“, — წერს მიხეილ სააკაშვილი.

მცოცავი ოკუპაცია კასპის მუნიციპალიტეტში!..

მცოცავი ოკუპაცია კასპის მუნიციპალიტეტშიც გაგრძელდა. საოკუპაციო ძალების წარმომადგენლები სოფელ გორაკას მიმდებარე ტერიტორიაზე გამოჩნდნენ და ტყის მასივში გზის გაყვანა დაიწყეს. ანტისაოკუპაციო მოძრაობის მიერ გავრცელებულ ფოტო და ვიდეომასალაში ჩანს ტყის მასივში დაწყებული სამუშაოები.

მოძრაობის წევრები ადგილზე აღებულ კოორდინატებზე დაყრდნობით აცხადებენ, რომ საოკუპაციო ხაზი ასი მეტრით საქართველოს მიერ კონტროლირებული ტერიტორიის შიგნით იწევს, რაც ასობით ჰექტარ დაკარგულ ტყესა და საძოვარს ნიშნავს.

სოფლის მიმდებარე ქედზე მდებარეობს ორკაპას ისტორიული ციხე, თუმცა ადგილობრივი მოსახლეობა იქ მისვლას გატაცების შიშით ვეღარ ბედავს, რადგან ნებისმიერ ბუჩქთან შეიძლება შეიარაღებული სამხედრო პირი იყოს ჩასაფრებული და ეს ადგილობრივ მცხოვრებთა შიშს იწვევს. კასპის მუნიციპალიტეტის სოფელი გორაკა ოკუპირებულ სოფელ მონასტერს ესაზღვრება. მონასტერში მდებარეობს საოკუპაციო ძალების სამხედრო ბაზა, საიდანაც კონტროლდება მიმდებარე სოფლები. ბაზაზე მცხოვრები პირადი შემადგენლობა ახლა ეგრეთ წოდებული საზღვრების მოწყობის სამუშაოებით არის დაკავებული. გორაკასა და მონასტერს ტყის მასივი და საძოვრები ყოფს. როგორც გორაკას მცხოვრებლები ამბობენ, საოკუპაციო ძალების წარმომადგენლები მიმდებარე მთაზე და ტყის მასივში უკვე ათი დღეა, რაც მუშაობენ. სოფლის მკვიდრი გიული ბეროშვილი დაკავებას ერთხელ უკვე გადაურჩა, როცა ტყეში ხილის საკრეფად წავიდა.

„საკორინთლოს მხარეს არის ოსური სოფელი მონასტერი, იქიდან მოვიდნენ და აქეთ დაიწყეს მუშაობა. ადრე შეღობილიც ჰქონდათ ეგ ტერიტორია, მაგრამ ახლა ის შეღობილიც მოხსენს და უფრო ჩვენკენ წამოვიდნენ. ადრე ნახირი აგვყავდა. ახლა ახლოს ვეღარ ვეკარებით. რუსები არიან და შიგნით აღარავის უშვებენ. ამას წინათ ასული ვიყავი, კვრინჩხს ვკრეფდი და როგორც კი რუსები გამოჩნდნენ, შემეშინდა და გამოვიქეცი. ჩემი მამამთილი ჰყავდათ ადრე დაჭერილი. ამიტომ სულ ვერიდები“.

სოფლის მწყემსებმა საკუთარი თვალით ნახეს, როგორ ამზადებდნენ საოკუპაციო ძალების წარმომადგენლები ტყეს გასაკაფავად, სადაც მოგვიანებით გზის გაყვანა დაიწყეს. გორაკელები ადგილზე დიდხანს ვერ გაჩერდნენ, რადგან მათი დაკავების საფრთხე რეალური იყო.

„ორი კვირის წინ ვნახეთ, ხეებს საღებავს ასხამდნენ. ზოგი ხე ჩამოთალეს, ზოგი შეღებეს. ზოგან შავი ფერის საღებავი მიასხეს, ზოგან წითელი. მონიშნული უკვე იყო, დაახლოებით, ათი ხე, მაგრამ ეს ყველაფერი რომ დავინახეთ, გამოვიქეცით. თვითონ რუსებიც დავინახეთ, 10-15 კაცი იქნებოდა. რომ არ გამოვქცეულიყავით, დაგვიჭერდნენ“.

მეორე დღეა, გორაკაში და მიმდებარე ტერიტორიაზე „ანტისაოკუპაციო მოძრაობის“ წევრები პატრულირებენ. „მოძრაობის“ ლიდერ დავით ქაცარავას თქმით, რუსები საქართველოს კონტროლირებულ ტერიტორიაზე შეუზღუდავად მუშაობენ და ასობით ჰექტარ მიწას იტაცებენ.

„მინიმუმ ასი მეტრით არიან გადმოსულები ჩვენს კონტროლირებად ტერიტორიაზე. ზოგ ადგილზე ეს ასი მეტრი იზრდება 150 მეტრამდე, რაც ნიშნავს იმას, რომ კიდევ ასეულობით ჰექტარ მიწას დავკარგავთ. ეს ტყის გზა გორაკადან ქვემო ჭალის მიმართულებით, სხვილოს ციხისკენ გაჰყავთ. ოკუპანტები თავისუფლად გრძნობენ თავს ჩვენს კონტროლირებულ ტერიტორიაზე“.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური „ბორდერიზაციის“ ყოველი ახალი შემთხვევისას ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ცხელ ხაზს ააქტიურებს, ამასობაში კი მცოცავი ოკუპაციის პროცესმა ქარელის მუნიციპალიტეტიდან კასპის მუნიციპალიტეტში გადაინაცვლა.

ქარელის მუნიციპალიტეტში — ტახტისძირში, დირბში, ღოღეთსა და თამარაშენში — მცოცავი ოკუპაციის შედეგად ათობით ჰექტარი სახნავი მიწის ფართი და საძოვრები ოკუპაციის ხაზს მიღმა მოექცა.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიშის მიხედვით, 2020 წელს გრძელდებოდა ე. წ. ბორდერიზაცია. ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით 16 ასეთი შემთხვევა იყო, ხოლო ცხინვალის რეგიონის მიმართულებით - 60.

2021 წლის პირველ 4 თვეში რუსეთის საოკუპაციო ძალები ინტენსიურად მუშაობენ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფლებში, ახლა კი პროცესი კასპის მუნიციპალიტეტშიც გაგრძელდა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა „ბორდერიზაციის“ პროცესი 27 აპრილს ერგნეთში გამართულ შეხვედრაზეც გააპროტესტეს, მათ პროტესტს შედეგი არ მოჰყოლია და მცოცავი ოკუპაციის შედეგად ათობით ჰექტარი მიწა ისევ იკარგება.

გოგა აფციაური

რადიო თავისუფლების კორესპონდენტი შიდა ქართლში.

სამთვიანი პატიმრობის დასასრული – ნიკა მელიამ ციხე დატოვა. თუმცა ახლა საინტერესო ისაა, მიხეილ სააკაშვილის ჩავარდნილი გეგმის შედეგ, მელია პოლიტიკური სცენარის განვითარების რა გზას აირჩევს. რა სტატუსით ტოვებს ის ციხეს?-პოლიტპატიმარი თუ სახედაკარგული პოლიტიკოსი, რომელიც უბრალოდ გამოიყენეს.

მელიას თუ თავმოყვარეობა აქვს, ე. წ. ჯანსაღი და სააკაშვილზე გაბრაზებული ძალები უნდა შემოიკრიბოს, სხვაგვარად ვერ გადარჩება

„ნაციონალურ მოძრაობაში“ ნიკა მელიას და სააკაშვილის მომხრეებს შორის დაპირისპირება უკვე დაწყებულია. მელიას მომხრეები ფიქრობენ, რომ პარლამენტში უნდა შევიდნენ და ქუჩის აქციები დასრულდეს. ისინი 15 მაისს აქციის გამართვის მიზანს ვერ ხედავენ, მით უმეტეს თავად ოპოზიციის შიგნითაც დაპირისპირება კიდევ უფრო გამწვავებულია. სააკაშვილის მომხრეები კი ფიქრობენ, რომ რევოლუციური სცენარი ერთადერთი გამოსავალია იმისთვის, რომ ისინი კვლავ ხელისუფლებაში დაბრუნდნენ. როგორც აღმოჩნდა, სააკაშვილს მელიას ციხეში ყოფნა უფრო ხელს აძლევდა და თავს კომფორტულადაც კი გრძნობდა.

გაჩნდა ეჭვი, რომ მან მელიას ციხეში ჩასმით ერთდროულად ორი კურდღლის დაჭერა სცადა: სააკაშვილმა მელიაზე ეჭვიანობა დაიწყო, როცა მან პარტიის განახლება და მისი მრევლისთვის ადგილის მიჩენა დაიწყო. მელია, მეტ-ნაკლებად, საკუთარი პოლიტიკური ფიგურის შექმნას ცდილობდა, თუმცა საბოლოო ჯამში ისევ სააკაშვილის ახირების შესრულება მოუწია და სწორედ მიშას ახირება იყო მისი ციხეში გამომწყვდევა. სააკაშვილი ფიქრობდა, რომ მელიას პოლიტპატიმრის რანგში ყოფნა პოლიტიკურ პროცესებს გამოაღვიძებდა, საზოგადოებაში პროტესტის მუხტს გააღვივებდა და ბოლოს და ბოლოს ნანატრ რევოლუციასაც მოაწყობდა, თუმცა ყველაფერი წყალში ჩაეყარა.

ამიტომ ჩნდება მოლოდინი, რომ მელია სააკაშვილის ხუშტურების შესრულებას აღარ დაიწყებს და საკუთარი პოლიტიკური დღის წესრიგით იმოქმედებს. თუმცა ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ ეს მისთვის მარტივი არ იქნება და მელიას ეს მცდელობა, შეიძლება, ძვირად დაუჯდეს.

პროკურატურამ „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის, ნიკა მელიასთვის პატიმრობის გირაოთი შეცვლის მოთხოვნით სასამართლოს 9 მაისს მიმართა. ევროკავშირის მიერ გირაოს თანხის გადახდის შემდეგ, საგამოძიებო უწყებაში ამბობენ, რომ პირობისამებრ იმოქმედეს.

ევროკავშირმა მელიას 40 ათასი ლარი საიას გავლით ჩაურიცხა. თანხის ხაზინაში შეტანისა და პროკურატურის მოთხოვნის შემდეგ სასამართლო ოპერატიულად ჩაინიშნა. 10 მაისს „მელია ციხიდან გამოცუნცულდა“...

„ნაციონალურ მოძრაობაში“ მიიჩნევენ, რომ ევროკავშირის მხრიდან გირაოს დაფარვა მელიას უკანონო პატიმრობის აღიარებაა. ევროპული მედიაციით „ქართულ ოცნებასთან“ გაფორმებული შეთანხმების ხელმომწერი ოპოზიციონერები მელიას გათავისუფლების გზას კრიზისის დასრულებისკენ გადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევენ. პოლიტიკოსები იმედს იტოვებენ, რომ უახლოეს მომავალში „ნაციონალური მოძრაობა“ შეთანხმების დოკუმენტის საკანონმდებლო იმპლემენტაციის პროცესში აქტიურად ჩაერთვება.

ხელისუფლების წარმომადგენლები ამ აქტში პოლარიზების დასრულების შესაძლებლობას ხედავენ, თუმცა არ გამორიცხავენ, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ დესტრუქციული დღის წესრიგი შეინარჩუნოს.



ანალიტიკოსი **დავით ძართველიშვილი** For.ge-სთან აცხადებს, რომ ის, რაც მიხეილ სააკაშვილმა პოლიტიკურად გათვალა, არ გამოუვიდა და მისი ეს აბსურდული იდეა, მელიას „ჰეროიზაცია“ მომხდარიყო, წყალში ჩაეყარა. ქართველიშვილი ამბობს, რომ სააკაშვილს ჰქონდა იმედი მელიას ციხეში ჩაჯდომა რაღაცა შედეგს მოუტანდა, თუმცა დიდი შეცდომა დაუშვა.

„სააკაშვილი შეეცადა, რომ უფუნქციო და იდეოლოგიურად სრულიად გამოშიგნული პარტიისთვის აზრი მიეცა და ილუზიაც იმის შესახებ, რომ ამ ადამიანებს ქვეყნისთვის რამე კარგის მოტანა შეუძლიათ, საპნის ბუშტივით გასკდა. ამის პარალელურად, ევროპარლამენტში ის რეიტინგი, რაც კონკრეტული სენატორების და ევროპარლამენტარების თვალში ჰქონდათ, დაკარგეს. იმ ფრონტზეც კი მათი მხარდაჭერა სრულიად განულებულია. რა ეპითეტებით არ შეამკეს, თითქოსდა პროდასავლური კოლეგები და პარტნიორები. დაწყებული იმით, რომ არაერთგზის კორუმპირებულად დაასახელეს ევროპელები, სულ უნამუსოები, იდიოტები და ამორალურები ეძახეს. დღესაც არ ჩერდებიან და მათი ფანჩატურის გემის კაპიტანი ევროკავშირს უწმაწურად აღარ აგინებს, თორემ პოლიტკური თვალსაზრისით, მიწასთან ასწორებს“, – აცხადებს ქართველიშვილი.

მისივე თქმით, როცა ნაციონალებს ყველა გეგმა წყალში ჩაეყარათ, განაცხადეს, თითქოს ევროკავშირის მიერ გირაოს გადახდა მელიას პოლიტპატიმრად აღიარებას ნიშნავს.

სააკაშვილის ჩავარდნილმა გეგმამ, რომელმაც ნიკა მელია როგორც პოლიტიკური ფიგურა, კომიკურ სიტუაციაში ჩააგდო, პარტიის შიგნით წარმოუდგენელი დაპირისპირება გამოიწვია. ქართველიშვილის თქმით, ენმ-ში მელიას გათავისუფლებასთან დაკავშირებით იმდენად ურთიერთგამომრიცხავი შეფასებები კეთდება, რომ ისინი აისბერგს უკვე დაეჯახნენ და უბრალოდ, იძირებიან და ახლა, ნაციონალებს „ტიტანიკის“ მგზავრების ბედი ეწევა – ვინც გადახტომას დროზე მოასწრებს, ის გადარჩება, ვინც არა, სააკაშვილთან ერთად ჩაიძირება.

„სააკაშვილის, როგორც მთავარი რეჟისორის შეცდომებმა საბოლოოდ ის გამოიწვია, რომ ამ სიტუაციაში უკვე სასაცილოა, როგორც ნაციონალების, ასევე ნიკა მელიას მდგომარეობა. მელია წარმოჩინდა, როგორც აბსოლუტურად უპრინციპო მარიონეტი, რომელსაც სააკაშვილი საკუთარ ჭკუაზე ათამაშებს. ამ წარუმატებელი და ჩაშლილი გეგმის შემდეგ რას იზამს, ისევ გაჰყვება თუ არა მის ხუშტურებს, არ ვიცი. მელიას თავმოყვარეობის შესახებ, სიმართლე გითხრათ, პროგნოზირება მიჭირს. რამდენი პროცენტი შერჩა მას პირადი თავმოყვარეობა ნამდვილად არ ვიცი. უბრალოდ, მას თუ ცოტა ანალიზის უნარი მაინც გააჩნია, უნდა მიხვდეს და სწორი დასკვნა გამოიტანოს. ისევ სააკაშვილის დადგმულ სპექტაკლში უნიჭო როლის შესრულება საბოლოოდ დაღუპავს. მას აქვს უნიკალური შანსი, რომ პოლიტიკურად გაბრაზდეს, სააკაშვილს გაანებოს თავი და საკუთარი პოლიტიკური მომავლის აწყობა დაიწყოს, სანამ შესაძლებელია და დრო აქვს, მარგინალიზებულ და მარაზმატიკულ ძალებზე უარი თქვას და თავი გადაირჩინოს“, – აცხადებს ქართველიშვილი.

ანალიტიკოსი **გია ხუხაშვილი** კი არ გამორიცხავს, რომ ნიკა მელიას ციხეში ყოფნა მიხეილ სააკაშვილისთვის კომფორტულიც კი ყოფილიყო. ხუხაშვილი ვარაუდობს, რომ სწორედ მელიაა ის ერთადერთი პოლიტკური ფიგურა, რომელსაც პარტიაში სააკაშვილისთვის წინააღმდეგობის გაწევა და რევოლუციაზე უარის თქმა შეუძლია. ის არ გამორიცხავს, რომ მელიას ციხიდან გამოსვლის შემდეგ, შიდა პარტიული დაპირისპირება გაღრმავდეს. სააკაშვილსა და მელიას შორის დაპირისპირებაში არსებობს დიდი შანსი, რომ მელიას ხაზმა გაიმარჯვოს. ანალიტიკოსი ამბობს, რომ ბიძინა ივანიშვილმა ოფიციალურად დაისვენა და უკვე დროა, რომ სააკაშვილმაც იგივე გააკეთოს.

„დიდი ალბათობით, ნიკა მელიას ციხეში ყოფნა სააკაშვილისთვის კომფორტული იყო, რადგან სააკაშვილი მელიას პარტიაში ძალაუფლებას უყოფდა. სააკაშვილმა დაინახა, რომ მელიას საკუთარი პოლიტიკური ფიგურის შექმნა შეუძლია და გაჩნდა საფრთხე, რომ სააკაშვილმა პარტიაზე ექსკლუზივი დაკარგა. ამიტომაც მელიას ციხეში ყოფნით თავს კომფორტულად ყველაზე მეტად სააკაშვილი გრძნობდა. მელიას შეუძლია, რომ მას რევოლუციურ მოწოდებებზე პარტიაში უარი უთხრას. ამიტომ არაა გამორიცხული, რომ ციხიდან გამოსვლის შემდეგ მელიამ მას აღარც მოუსმინოს“...

გ. ხუხაშვილის თქმით, ნიკა მელიას ცოტა მეტი მოუვიდა, როდესაც ევროკავშირის გირაოს გადახდაზე უარი განაცხადა. თუმცა ამას მოგვიანებით მიხვდა და გამოასწორა. ხუხაშვილი ამბობს, რომ მელიას ციხეში ყოფნა ოპოზიციის შიგნით დაპირისპირების და კონფლიქტის მიზეზი გახდა, რაც საბოლოოდ მის დაშლას გამოიწვევს. ამიტომაც მელია რომ დროზე გამოვიდა ციხიდან, მისთვისაც კარგია და ოპოზიციისთვისაც.

ლიკა ბერიკაშვილი

გახარიას გუნდს ახალი წევრები შეემატნენ

გორის მერის მოადგილეებმა პაატა ივანიშვილმა და ერასტი ელიჯარაშვილმა თანამდებობები დატოვეს და განაცხადეს, რომ ექს-პრემიერ გიორგი გახარიას გუნდს უერთდებიან.

ამასთან, მათ აღნიშნეს, რომ თანამდებობების დატოვება ზეწოლის ფონზე მოუხდათ.

„თანამდებობა ჩვენი თვითმიზანი არაა. მმართველ პარტიას მინდა, ვუთხრა, რომ ხელი არ დააკარონ საჯარო მოხელეებს, რომელთა გაშვებასაც აპირებენ. ჩვენ გორს, გორელებს გიორგი გახარიას გუნდთან ერთად დავეხმარებით. ვემზადებით თვითმმართველობის არჩევნებისთვის, სადაც აუცილებლად გავიმარჯვებთ“, – განაცხადეს უკვე ყოფილმა სახელმწიფო მოხელეებმა. ირკვევა, რომ თანამდებობა დატოვა ხაშურის მერის მოადგილე ზურაბ როსებაშვილმაც მერის მოვალეობის შემსრულებლის მოთხოვნის საფუძველზე.

„მთხოვა, დამეწერა განცხადება. ჩემთვის მოულოდნელი იყო, რომ ამ დემოკრატიაში ხელისუფლება მსგავს გადაწყვეტილებას მიიღებდა. ვფიქრობ, ეს მერის გადაწყვეტილება არაა, დავალებაა. მივიღე თანამდებობის დატოვების გადაწყვეტილება“, – განაცხადა როსებაშვილმა. რაც შეეხება პოლიტკური კარიერის გაგრძელებას და გახარიას გუნდთან შესაძლო თანამშრომლობას, როსებაშვილი ამბობს, რომ მოიფიქრებს, რადგან გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია.



ბენზინის ფასმა ფსიქოლოგიური ნიშნული გადალახა!..

საწვავის ფასი ზრდას განაგრძობს, ბრენდული ბენზინგასამართი სადგურების ნაწილზე 1 ლიტრი სუპერის ტიპის ბენზინის ღირებულება უკვე 3 ლარს გადასცდა. გაძვირების მიზეზად, ტრადიციულად საერთაშორისო ბაზარზე ფასების ზრდა და ლარის კურსი სახელდება. იმპორტიორები კვლავ ითხოვენ აქციზის ფასის განახევრებას, რაც ბენზინს მხოლოდ 19 თეთრით გააიაფებს, ბიუჯეტს კი 2020 წლის იდენტური იმპორტის პირობებში 276 მლნ ლარს დააკლებს.

თუ 3 კვირის წინ რეგულარის ტიპის ბენზინის შეძენა 2.65 ლარად კიდევ შესაძლებელი იყო, დღეს მომხმარებელს მასში მინიმუმ 2.74-ის გადახდა უწევს. 10 თეთრით 2.95-მდე გაძვირდა პრემიუმიც, დიზელის ფასი კი 2.70-დან იწყება და 2.89-მდე ადის. 1.5 თვის წინ ფასები 20-25 თეთრით ნაკლები იყო.

საწვავი უკიდურესად არაელასტიური პროდუქტია და ღირებულების ცვლილება მოხმარებაზე მხოლოდ უმნიშვნელო გავლენას ახდენს. 2020 წლამდე მოხმარება იზრდებოდა და შემდეგ ზრდა შეჩერდა. გასულ წელს ფასები თითქმის 1 ლარით ნაკლები იყო, ახლა ისტორიულ მაქსიმუმზეა, მაგრამ ორივე შემთხვევაში მოხმარებაზე გავლენა კოვიდრეგულაციებმა, უმთავრესად კი კომენდანტის საათმა მოახდინა.

რადგან საწვავი, არამხოლოდ გადაადგილებისთვის, ტრანსპორტირებისთვისაც გამოიყენება, მისი ფასის ცვლილება ინფლაციაზეც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. იმ დროს, როდესაც მოსახლეობის 95%-ისთვის ელექტროენერგია სუბსიდირებულია (იმ აბონენტებისთვის, რომლებიც თვეში 300 კვტ/სთ-ზე ნაკლებ ელექტროენერგიას მოიხმარენ ბიუჯეტი 1 კვტ/სთ-ზე იანვრიდან გაზრდილ ფასს — 3.5 თეთრს უსუბსიდირებს) და მაღაზიის პურის ფასიც ტომარა ფქვილზე 15-ლარიანი სუბსიდიით ხელოვნურადაა შენარჩუნებული... მარტში და აპრილში წლიურმა ინფლაციის განაკვეთმა 7.2%-ს მიაღწია მაშინ, როცა ბიუჯეტი 3%-იან ინფლაციაზეა დაგეგმილი. ეროვნული ბანკი აპრილში იძულებული გახდა მოსალოდნელი ინფლაციის განაკვეთი გაეორმაგებინა და 6.5%-მდე გაეზარდა. პროგნოზის გაუარესებას წინ რეფინანსირების განაკვეთის 10-წლიან მაქსიმუმამდე — 9.5%-მდე გაზრდა უძღოდა, რითაც 124 000-ზე მეტ პირს სესხი გაუძვირდა.

2020 წლის აპრილში, XXI საუკუნეში პირველად Brent-ის ტიპის ბარელი ნავთობის ფასი 73%-ით, 418-მდე შემცირდა, ამერიკული მსუბუქი ნავთობი კი მინუსში გავიდა და ისტორიულ მინიმუმი — 438 აღირიცხა. მსგავსი მასშტაბის ვარდნა არ მომხდარა პლატსზე, საიდანაც საქართველო უკვე გადამუშავებულ საწვავს ყიდულობს, თუმცა საწვავის იმპორტი მაინც 4259 მლნ-ით, 4498 მლნ-მდე შემცირდა, რაოდენობრივად კი მცირედით — 0.9%-ით 1.106 მლნ ტონამდე გაიზარდა, რაც არა მოხმარების ზრდით, არამედ მარაგების შექმნით იყო გამოწვეული.

დღეს ამერიკული მსუბუქი ნავთობის ივნისის ფიუჩერსული ფასი 465-ს აჭარბებს, ბრენტის ივლისის ფიუჩერსის ღირებულება კი 468-ს, რაც 2020-ის იანვრის დასაწყისის ფასების ტოლია. მართალია, მოთხოვნა 16 თვის წინანდელს კიდევ ჩამორჩება, მაგრამ მოთხოვნასთან ერთად შემცირებულია მიწოდებაც. ამავე დროს დოლარის ღირებულება 3.41 ლარს შეადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ კიდევ 2.2%-იანი გაუფასურების შემთხვევაში ახალი რეკორდი მოიხსნება.

გიორგი ელიზბარაშვილი

ფასები გარბიან, მთავრობა დასაჭერად მისდევს, მაგრამ ვერ ეწევა!

აპრილის ინფლაციამ გაამძაფრა ეჭვი, რომ ქვეყანა თანდათან ორნიშნა მაჩვენებლისკენ მიიწევს. თუკი ზაფხულის განმავლობაში 7%-იანი მაჩვენებლის შემცირება ვერ მოხერხდა, წლის ბოლოს ნამდვილად უარესი ვითარება შეიქმნება.

მთავრობაში მაინც იმედიანად არიან განწყობილნი, მაგრამ რა აძლევთ მათ ოპტიმიზმის საფუძველს, გაურკვეველია. ერთადერთი არგუმენტი, რასაც ისინი ებღაუჭებიან, ეროვნული ბანკის მიერ რეფინანსირების განაკვეთის გაზრდაა, თუმცა მხოლოდ ამ ინსტრუმენტის მეშვეობით როგორ მოხდება ფასების მოთოკვა, ძნელი წარმოსაგნელია.

ფინანსთა მინისტრი **ლაშა ხუციშვილი** დარწმუნებულია, რომ შემდეგ თვეებში ინფლაცია შემცირებას დაიწყებს, წლის ბოლოს კი გაცილებით უკეთესი მდგომარეობა გვექნება, ვიდრე დღესაა.

„მომდევნო თვეებში უკვე დავინახავთ მოცემულობას, რომ ინფლაცია შემცირების მიმართულებით წავა. ეროვნულმა ბანკმა გააკეთა განმარტება, თუ რატომაც გაამკაცრა მონეტარული პოლიტიკა. სები ამ ინსტუმენტის გარდა იყენებს სხვა ინსტრუმენტებს. შესაბამისად, ეროვნულმა ბანკმა, ამ ეტაპზე, სწორედ ეს ღონისძიება ჩათვალა ყველაზე ეფექტურად იმისათვის, რომ ინფლაციის ტემპი შენელდეს“, — განაცხადა ხუციშვილმა.

ჯერჯერობით კი ვითარება სავალალოა. მარტის მსგავსად, აპრილშიც წლიური ინფლაცია 7.2% იყო. სწორედ საქართველოს ეროვნული ბანკის ნაბიჯების მიუხედავად, ფასების ზრდას არაფერი შველის, ამიტომ გაჩნდა ორნიშნა ინფლაციის საშიშროება, მით უფრო, რომ ამას ლარის გაუფასურებაც ხელს უწყობს.

გაზრდილი ინფლაციის საპასუხოდ, 28 აპრილს რეფინანსირების განაკვეთი 9.5%-მდე გაიზარდა, რასაც შედეგი, ჯერჯერობით არ მოუტანია. ფასების ინდექსის შემცირება მხოლოდ 2022 წლის დასაწყისიდან არის ნავარაუდევი.

როგორც სტატისტიკოსი **სოსო არჩვაძე** აღნიშნავს, დღევანდელი ვითარება არ იძლევა იმის საშიშროებას, რომ ქვეყანაში ორნიშნა ინფლაცია დადასტურდეს, თუმცა მდგომარეობა სავალალოა.

„ჩვენს ვითარებაში ფასების გაზრდა ლარის კურსის დაცემამ გამოიწვია, რასაც მოჰყვა იმპორტული საქონლის გაძვირება და შემდეგ გაურკვევლობის ეფექტმაც შეასრულა თავისი როლი. აჟიოტაჟური მოთხოვნა წარმოიშვა ზოგიერთ პროდუქციაზე. ამას დაემატა კომუნალური ტარიფებისა და საწვავის გაძვირებაც. ეს ის კომპონენტებია, რომლებიც ძირითადად მოქმედებენ სამომხმარებლო ფასებზე.

ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი მთელი 1 პუნქტით გაზარდა. ეს იშვიათად ხდება. მე ორნიშნა ინფლაციას ნამდვილად არ ვეღოდები, პირიქით, მგონია, რომ მომდევნო თვეებში ეს მაჩვენებელი დაიწევს, ჯერ ერთი, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ზრდის გამო და მეორეც, ახლა მოდის ზაფხულის თვეები. მაისიდან სექტემბრამდე საქართველოში, ტრადიციულად, დეფლაციური პერიოდია, სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია იაფდება სეზონური ფაქტორის გამო, ამიტომ მგონია, რომ ეს შიში გადაჭარბებულია და ორნიშნა ინფლაცია არ გვექნება“, — განაცხადა არჩვაძემ.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ანგარიშის თანახმად, ფასები სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების უმეტესობაზე არის გაზრდილი. ძირითადი 10 პროდუქცია, რომლებზეც ყველაზე მეტად გაიზარდა ფასები, 2021 წლის აპრილში ასე გამოიყურება:

მზესუმზირის ზეთი გაძვირდა 76,6%-ით; თერმომეტრი — 68,4%-ით; ქორწინების 958 სინჯის ოქროს ბეჭედი — 38,5%-ით; საშინაო ფეხსაცმელი კაცის — 34,6%-ით; წიწიბურა — 32,2%-ით; ლურსმანი — 31,9%-ით; სტომატოლოგის მომსახურება (კბილის ამოღება) — 30,8%-ით; საშინაო ფეხსაცმელი ქალის — 8,8%-ით; ტკივილგამაყუჩებელი მედიკამენტები — 28,3%-ით; ქალის ზამთრის ფეხსაცმელი — 27,9%-ით.

ბექა დანელია

რატომ გახდა საგარეჯოში ახლად აღდგენილი წყლის სისტემა თავიდან გასაკეთებელი?!

საგარეჯოში წყალმომარაგების სისტემა გამოცვალეს. ამისთვის 6 მილიონი ლარი დაიხარჯა, თუმცა მოსახლეობამ წყალი ვერ მიიღო. ირკვევა, რომ კომპანიამ უხარისხო მილები დაამონტაჟა, რის გამოც ახლა თავიდან ასრულებს ყველა იმ სამუშაოს, რომელიც ერთხელ უკვე გააკეთა. ვინ იხდის ხელმეორედ შესასრულებელი სამუშაოების საფასურს და როდის მიიღებს 2 800 აბონენტი სასმელ წყალს?

„აი, ასე ვცხოვრობთ. ერთ ტონა წყლის აღება თუ მოვახერხეთ... ამ წყლით თუ დაიბანა, სარეცხი დასარეცხი გრჩება; დარეცხავ, თავად რჩები დასაბანი“, — ეუბნება რადიო თავისუფლებას ია ჭიაბერაშვილი. პრობლემა კი, რომელზეც ის ლაპარაკობს, საგარეჯოს მუნიციპალიტეტს ათწლეულებია აწუხებს. იას თქმით, მის ონკანზე სასმელი წყალი თვეში ორჯერ მოდის და ისიც რამდენიმე საათით. წყლის თითო მოსვლაზე მხოლოდ ერთტონიანი ავზის შევსებას ასწრებს, რომელიც ორი-სამი დღის საკმარისია, შემდეგ კი წყალი უნდა იყიდოს. ერთი ტონა 10 ლარი ღირს.

„როცა წვიმაა, ორ კვირაში ერთხელ მოსული წყალიც გამოუსადეგარია, რადგან ტალახიანი მოდის. ჩვენი მომკითხავი არავინ არის. ასე ვცხოვრობთ დიდ უბედურებაში. ვყიდულობთ წყალს, მაგრამ ნაყიდი წყალი ვის ეყოფა? თან ერთ ტონას არავინ მოგიტანს, მინიმუმ 3 ტონა უნდა იყიდო“.

იხ. 6 გვ.

შრომის უსაფრთხოების სისტემის როლი ორგანიზაციაში

ინციდენტი აისბერგის ზედაპირია!

ბევრი მენეჯერი, მათ შორის შრომის უსაფრთხოების მენეჯერები ფიქრობენ, რომ შრომის უსაფრთხოება მხოლოდ „საფრთხეებს“ მოიცავს — ტოქსიკურ ნივთიერებებს, ბასრ საგნებს და ფეთქებად აირებს. ისეთ რაიმეს, რაც დაცული უნდა იყოს და კონტროლდებოდეს.

კანონის, განმარტების და პირადი პროფესიონალიზმის მიხედვით, უსაფრთხოების სპეციალისტები პასუხისმგებლები არიან სამუშაო ადგილზე არსებული რისკების კონტროლზე. შედეგად, ისინი ფოკუსირებას ახდენენ პროცედურების შექმნის და საინჟინრო გადაწყვეტილებების დანერგვაზე იმგვარად, რომ თანამშრომელი დაცული იყოს ამა თუ იმ რისკისგან. ასეთი მიდგომა ლოგიკურია და ყოვლისმომცველი, თუმცა დასაქმებულები ხშირად არ იცავენ წესებს.

გარდა ამისა, საინჟინრო ღონისძიებები, ვენტილაციის სისტემა, დაცვითი მექანიზმები და ინდივიდუალური დაცვის საშუალებები საკმაოდ ძვირი ღირს. გამომდინარე იქიდან, რომ ეს ხარჯი პირდაპირ ხარისხის ან პროდუქციის გაუმჯობესებისკენ არაა მიმართული, მარტივი გასაგებია, თუ რატომ აღიქვამენ მენეჯერები ასეთ ხარჯებს „წყალში გადაყრილ“ თანხად.

ხშირად, როდესაც რაიმე უბედური შემთხვევა არ ხდება, მენეჯერები და დასაქმებულები თვლიან, რომ იგი არც მოხდება! თუმცა, თუკი თანამშრომელი უსაფრთხოების წესებს არ იცავს და ინციდენტი არ ემართება, ესე იგი უმართლებს. ინციდენტი მხოლოდ დროის საკითხია.

ხარისხი და ოპერატიულობა შრომის უსაფრთხოების სისტემაში გადამწყვეტი ფაქტორებია. იმისთვის, რომ სამუშაო ადგილზე ინციდენტის მოხდენის ალბათობა მინიმალური იყოს, რისკის კონტროლი ეფექტურად ხორციელდებოდეს, ბიზნესის წყვეტა არ მოხდეს რაიმე დარღვევის თუ ინციდენტის გამო, ეფექტური სამუშაოები უნდა ჩატარდეს და პროცედურები შემუშავდეს.

ინციდენტი აისბერგის ზედაპირია, მთავარი ნეგატიური ასპექტები კი მის ქვეშ იმალება. შრომის უსაფრთხოება დაზღვევაა. ჯარიმები, პროდუქციის, დანადგარის, შენობის და სხვა ინფრასტრუქტურის დაზიანება, ბიზნეს-პროცესების დროებითი შეწყვეტა, თანამშრომლებზე გადასახდელი კომპენსაცია, თანამშრომელთა არაპროდუქტიულობა, კომპანიის რეპუტაციის შელახვა და სხვა. ამ გარემოებების თავიდან ასაცილებლადაა საჭირო შრომის უსაფრთხოების სპეციალისტების მიერ შრომის უსაფრთხო სისტემის შექმნა ორგანიზაციაში, ბიზნეს-პროცესების დასახმარებლად მეტი ოპერატიულობისთვის და პროდუქტიულობისთვის.

ბაჩო მაჭარაძე,
შრომის უსაფრთხოების ინსპექტორი

ატმოსფეროს დაბინძურებამ კრიტიკულ ზღვარს გადააჭარბა!..

გამოსავალი განახლებად ენერგიაშია

პანდემიასა და პლანეტარული მასშტაბის ლოკდაუნს გასულ წელს არც გლობალური დათბობა და არც გარემოს დაბინძურება შეუჩერებია. მართალია 2020 წელს, 2019 წელთან შედარებით, 7%-ით ნაკლები ნახშირორჟანგი გამოიყო, მაგრამ ატმოსფეროში CO2-ის წილი მაინც გაიზარდა და 1 მლნ-დან 417 ნაწილაკს გადააჭარბა.

ატმოსფეროში ნახშირორჟანგის არსებობა სიცოცხლისთვის აუცილებელი პირობაა. მის გარეშე დედამიწა ყინულით დაიფარებოდა, თუმცა მის ზრდას მეორე უკიდურესობისკენ — გადახურებისკენ მივყავართ.

შორს აღარ არის დრო, როდესაც მარსზე პილოტირებული მისია განხორციელდება. ვენერა უახლოეს მომავალშიც კი არ განიხილება. ეს მაშინ, როცა მარსამდე უახლოესი მანძილი 55 მლნ კმ-ა, ვენერამდე — 42 მლნ კმ. უპირატესობა უფრო თალში საცემია სხვა ფიზიკურ პარამეტრებში. მარსის რადიუსი დედამიწის რადიუსის 53%-ს უდრის, ვენერის 95%-ს, ზედაპირის ფართობი შესაბამისად 28%-სა და 90%-ს, მარსის მოცულობა დედამიწის მოცულობის მხოლოდ 15%-ა, მასა 11%-ზე ნაკლები, ვენერას შემთხვევაში კოეფიციენტები 87 და 82 პროცენტს უთანაბრდება. გრავიტაციაც მარსს დედამიწის მხოლოდ 38% აქვს, ვენერას 90%-ზე მეტი. მაგრამ არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სხვაობა. თუ მარსზე საშუალო ტემპერატურა -62 გრადუსია (-143-დან 30 გრადუსამდე) ვენერაზე ის 464 გრადუსს აღწევს, რაც თუთიის დნობის ტემპერატურას 44 გრადუსით, ტყვიის დნობისას კი 136 გრადუსით აღემატება. ვენერაზე ზედაპირი 40 გრადუსით უფრო მეტად ცხელდება, ვიდრე მზის სისტემის პირველ პლანეტაზე — მერკურზე, რომელიც მზესთან 2-ჯერ უფრო ახლოსაა. ამ სურათის მიზეზი მომაკვდინებელი ატმოსფეროა, რომელიც დედამიწისაზე 91-ჯერ უფრო სქელია და რომლის 96.5%-ს სწორედ ნახშირორჟანგი შეადგენს. იდეაში მარსის ატმოსფეროს 96%-იც ნახშირორჟანგია, მაგრამ მარსზე ატმოსფერო დედამიწასთან შედარებით 159-ჯერ გაიშვიათებულია.

სინათლისგან განსხვავებით მზისგან სითბოს პირდაპირ არ ვღებულობთ. მას მიწა იღებს და შემდეგ გასცემს. რამდენს გასცემს და რამდენს დაიტოვებს ეს უკვე ატმოსფეროზეა დამოკიდებული.

უკანასკენლი გამყინვარების პნრიოდის დასრულების შემდეგ დედამიწაზე ატმოსფეროში ნახშირორჟანგის წილმა 1 მლნ-დან 280 ნაწილაკი ანუ 0.28% შეადგინა და XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე არც არაფერი შეცვლილა. დღეს კი უკვე 0.41%-ს აჭარბებს. ასეთი მაღალი კონცენტრაციის დონე პლანეტაზე ბოლო 5 მლნ წელია აღარ ყოფილა.

ვულკანების ამოფრქვევისა თუ სხვა ბუნებრივი მოვლენების შედეგად ნახშირორჟანგი გარემოში ისედაც ვრცელდება, თუმცა თუ ინდუსტრიული რევოლუციის დაწყებამდე ის წლიურად 10-20 მლნ ტონას შედგენდა, დღეს 36 მლრდ ტონას აჭარბებს.

წლიური გამოფრქვევის მოცულობამ 100 მლნ ტონას პირველად 1836 წელს გადააჭარბა, 500 მლნ-ს 1869 წელს, 1 მლრდ-ს კი 1884 წელს. პირველი და მეორე მსოფლიო ომების, უფრო მეტად კი დიდი დეპრესიის დროს ემისიის მნიშვნელოვანი კლება აღინიშნა.

მიუხედავად იმისა, რომ 1800 წლიდან 1945 წალამდე ყოველწლიური გამოფქვევა მკვეთრად 10 მლნ ტონიდან 5 მლრდ ტონამდე ანუ 500-ჯერ გაიზარდა, ატმოსფეროში მისი წილი მცირედით 280 ნაწილაკიდან 310-მდე გაიზარდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი იწყება როგორც თავად ემისიების, ასევე ატმოსფეროში მისი წილის ზრდა.

2016 წელს ატმოსფეროში CO2-ის კონცენტრაციამ სახიფათოდ მიჩნეული 400-იანი ნიშნული გადალახა, იმ წელს სახელმწიფოებმა ჰაერში 35.2 მლრდ ტონა ნახშირორჟანგი გააფრქვიეს. ემისიამ პიკს — 36.5 მლრდ ტონას 2019 წელს მიაღწია, 2020 წელს კი 34 მლრდ ტონამდე შემცირდა, რაც 2011 წლის მაჩვენებელზე ნაკლებია. გაფრქვევის კლების მიუხედავდ, კონცენტრაცია მაინც გაიზარდა. იმ შემთხვევაშიც კი, ყველა ქარხანა, ყველა თბოსადგური, ყველა ავტომობილი, გემი და თვითმფრინავი ერთ დღეს რომ გაჩერდეს, ატმოსფეროში ნახშირორჟანგის წილის ზრდა რამდენიმე წელი კიდევ გაგრძელდება.

საშუალო ტემპერატურა ბოლო 140 წლის მანძილზე 1 გრადუსით გაიზარდა. ფაქტის უარსაყოფად ცალკეული ცივი დღეების არგუმენტად მოშველიება არ გამოდგება, რადგან კლიმატი და ამინდი სხვადასხვა ცნებებებია. ტემპერატურის ზრდის შედეგად მილიონობით ჰექტარი მიწა იფიტება და მოსავლიანობა მცირდება, მცირდება სასმელად ვარგისი წყლის რესურსიც. ეს ყველაფერი თავის მხრივ ეთნოკონფლიქტების პროვოცირებასაც იწვევს. საბოლოო ჯამში, უშუალოდ დათბობით, დაბინძურებული ჰაერის შედეგად გამოწვეული სხვადასხვა დაავადებებით, შიმშილით, არასრულფასოვანი კვებითა თუ დაბინძურებული წყლით, წელიწადში 8 მლნ ადამიანი იღუპება, 4-ჯერ მეტი, ვიდრე კოვიდით. საუკუნის პირველ 20 წელიწადში გლობალურმა დათბობამ იმაზე 2-ჯერ მეტი ადამიანი შეიწირა, ვიდრე ორივე მსოფლიო ომმა ერთად.

წიაღისეული საწვავის მოხმარების ზრდის შემთხვევაში, პესიმისტური სცენარით საუკუნის ბოლომდე გლობალური ტემპერატურა კიდევ 6 გრადუსით აიწევს. ნიუ-იორკს, ტოკიოს, სინგაპურს, ჰონგ-კონგს, შანხაის, სიდნეის, რიო-დე-ჟანეიროს ოკეანე დაფარავს. იძულებით გადასახლება ასობით მლნ ადამიანს მოუწევს. ყინულის დნობის შედეგად ციმბირში ნახშირორჟანგზე უფრო საშიში მეთანიც გამოთავისუფლდება. განახლებადი ენერგიის წილის ზრდის ფონზე ასეთი აპოკალაფისური სურათი უკვე ნაკლებრეალისტურია, თუმცა გარანტირებული ჯერ არც ოპტიმისტური სცენარია, რომელიც ტემპერატურის 2 გრადუსით მატებას გულისხმობს.

იხ. 8 გვ.

საქართველოს ჰესტორია საბჭოთა ფესვებით

რატომ ნამახვანჰესი, როცა სოფელს ჰქვია ნამოხვანი? როგორც ირკვევა, საქმე გვაქვს ისეთივე ლაფსუსთან, როგორსაც ადგილი ექნებოდა, რუსულიდან ქართულში შეუცვლელად რომ გადმოგვეტანა ენგურჰესის სახელი. რუსულად ენგურჰესი ხომ Ингургэс-ი ანუ ინგურიგესია? გუსტად ასე მოხდა ნამოხვანჰესის შემთხვევაში: გასული საუკუნის 70-იან წლებში საკავშირო ინსტიტუტ „ჰიდროპროექტში“ შედგენილ დოკუმენტაციაში ყველგან Намахвангэс (ნამახვანჰესი) წერია. რაგე შეიძლება მეტყველებდეს სადგურის საბჭოთა რუსული სახელწოდების ასე COPY-PASTE-ით გადმოტანა? მსგავსი მიდგომით ხომ არ ხელმძღვანელობს საქართველოს მთავრობა, როცა საბჭოთა გიგანტურ ჰიდროპროექტებს აცოცხლებს?

თეთრი ქვანახშირის ქვეყანა?

საბჭოთა ენერგეტიკოსები საქართველოს, ჰიდრორესურსების სიუხვის გამო, „თეთრი ქვანახშირის“ ქვეყანას უწოდებდნენ. წყლის ენერგიის მარაგით, საქართველო მართლაც უსწრებს ევროპისა და მსოფლიოს ბევრ ქვეყანას. საბჭოთა კავშირშიც, რომელიც ხმელეთის მეექვსედზე იყო გადაჭიმული, ამ მაჩვენებლით მხოლოდ რუსეთს, ტაჯიკეთსა და ყაზახეთს ჩამოუვარდებოდა. რაც შეეხება ჰიდროენერგიის ხვედრით წილს, საქართველო მსოფლიოში ახლაც ერთ-ერთ პირველ ადგილზეა.

საქართველოში სულ 25 ათასამდე მდინარეა, რომელთაგან 17,5 ათასამდე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მიედინება. დასავლეთ საქართველოშივეა თავმოყრილი ჰიდროენერგეტიკული რესურსების 70%. საქართველოს უმსხვილესი მდინარეებია მტკვარი, რიონი და ენგური — ამ და სხვა მდინარეებზე მუშაობს 60-მდე ჰესი, რომელთა ჯამური სიმძლავრე 3300 მგვტ-ია.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მონაცემებით, საქართველოს ენერგოსისტემის მთლიანი დადგმული სიმძლავრე დაახლოებით 4,3 ათას მგვტ-ს შეადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ ჯამური სიმძლავრის 78% ჰესებზე მოდის.

საქართველოს განახლებადი ენერგიის ეროვნულ სამოქმედო გეგმაში კი ვკითხულობთ, რომ 2030 წლისთვის ვარაუდობენ საქართველოს გენერაციის ჯამური სიმძლავრის გაორმაგებას (9,7 ათასი მგვტ-მდე). ამავე გეგმის მიხედვით, 6,5 ათას მგვტ-მდე გაიზრდება ჰიდროსადგურების სიმძლავრეც.

რის ხარჯზე შეიძლება გაორმაგდეს (3,3 ათასი მგვტ-დან — 6,5 ათას მგვტ-მდე) საქართველოს ჰიდროსადგურების სიმძლავრე?

ამ კითხვის პასუხად გამოდგება საქართველოს ელექტროენერგიის გადამცემი და გამანაწილებელი ქსელის ათწლიანი (2018-2028 წწ) განვითარების გეგმა, რომელიც შედგენილია იმის დაშვებით, რომ გეგმის მოქმედების პერიოდში აშენდება ხუდონის, ნამახვანის, ნენსკრას და ცხენისწყალის ჰესები. უნდა ითქვას, რომ ყველა ამ ჰესის პროექტი დამუშავებულია ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს. მეტიც, ხუდონჰესი და ნამახვანჰესი რამდენიმე წლის განმავლობაში შენდებოდა კიდეც, თუმცა მშენებლობა შეჩერდა გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს მძლავრი „მწვანე“ საპროტესტო აქციების გამო.

ენგურის ხეობა, სადაც ხუდონჰესის აშენება იგეგმება

ჰესტორია - ჰესების ისტორია საქართველოში

საქართველოში პირველი ჰიდროელექტროსადგური 1898 წელს აშენდა ბორჯომში. მისი სიმძლავრე, სულ რაღაც, 103 კვტ იყო. 1913 წლისთვის საქართველოში უკვე 7 ჰესი მუშაობდა. არც მათი ჯამური სიმძლავრე (1 260 კვტ) იყო შთამბეჭდავი, თუმცა გაიზარდა ჰესების გეოგრაფია: სოხუმი, ბათუმი, გაგრა, ახალი ათონი, ახალქალაქი, ბოლნისი.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ საქართველოზეც გავრცელდა ე.წ. გოელროს (Гоэлро) — ელექტროფიკაციის საკავშირო გეგმა, რომლის ფარგლებშიც 1922 წელს დაიწყო ზაჰესის მშენებლობა, 1927 წელს კი რიონჰესისა. წლების განმავლობაში ზაჰესი და რიონჰესი უზრუნველყოფდა თბილისისა და ქუთაისის ელექტროენერგიით მომარაგებას.

საბჭოთა პერიოდში მტკვარზე და მის შენეკადებზე აშენდა ჰიდროელექტროსადგურები: ორთაჭალჰესი, ხრამი-1, ხრამი-2; აშენდა იორის სარწყავ-ენერგეტიკული სადგური; სიონის ჰესი 85 მეტრი სიმაღლის მიწის კაშხალით, 300 მლნ კუბ. მეტრი წყალსაცავით; სამი ვარდნილი: საცხენისისჰესი, მარტყოფიჰესი, თეთრიხევიჰესი; არაგვზე აშენდა ჟინვალჰესი 102 მ სიმაღლის კაშხალით და 503 მლნ. კუბ. მეტრი წყალსაცავით.

რიონზე, რომლის სიგრძე 327 კმ-ია, აშენდა ჰესების კასკადი: ლაჯანურჰესი, გუმათი — 1, გუმათი — 2, რიონჰესი, ვარციხე — I, II, III, IV; რიონის შენაერთებზე — შაორი და ტყიბული ჰესები; ლაჯანურჰესი.

ენგურზე, რომლის სიგრძე 221 კმ-ია, აშენდა ქვეყნის ყველაზე მძლავრი (1300 მგვტ) ელექტროსადგური ენგურჰესის სახით: წყალსაცავი 1110 მლნ. კუბ. მ, თაღოვანი კაშხალი — 271 მ სსრკ-ში ამაზე უფრო მაღალი კაშხალი ჰქონდა მხოლოდ 2 სადგურს, ხოლო ბეტონის კაშხლიან სადგურებს შორის პირველ ადგილს იკავებდა, სადერივაციო გვირაბი — 9,5 მ დიამეტრით, 15 კმ — სიგრძე, კაშხლის სისქე 52-10 მჯ; ვარდნილები I, II, III, IV...

თუმცა ვერ დასრულდა სსრკ-ს დროს დაწყებული ხუდონჰესის (კაშხლის სიმაღლე — 197 მ) მშენებლობა; ვერ განხორციელდა სხვა მასშტაბური პროექტები, რომელთა დაწყება იგეგმებოდა გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან ანუ საბჭოთა ჰიდროენერგეტიკის განვითარების VI ეტაპზე. სულ საბჭოთა ჰიდროენერგეტიკა (მათ შორის ქართული საბჭოთაც) დაყოფილია განვითარების 6 პირობით ეტაპად: I — 1918-1928 წწ; II — 1929-1940 წწ; III — 1941-1945 წწ; IV — 1946-1958 წწ; V — 1959-1975 წწ; VI — 1976-1991წწ.

V და, განსაკუთრებით, VI ეტაპი გამორჩეულია გიგანტური ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობით, თუმცა VI ეტაპი კიდევ იმითაც არის გამორჩეული, რომ ამ გრანდიოზული პროექტების ნაწილის მშენებლობა ვერ დასრულდა, ნაწილი კი სულაც ქაღალდზე დარჩა „მწვანე მოძრაობის“ გააქტიურებისა თუ საბჭოთა კავშირის დაშლის გამო. ასეთი პროექტებია: ნამოხვანი, ჟონეთი, ტვიში, ხუდონი, ნენსკრა, ახალციხე და სხვები, თუმცა, როგორც ჩანს, საბჭოთა ჰიდროენერგეტიკის VI ეტაპი არც გასულ საუკუნეში დასრულებულა და არც ისტორიის კუთვნილება არ გამხდარა.

სწორედ ამ VI ეტაპით გათვალისწინებული პროექტების გაგრძელებას, დაწყებას და დასრულებას ცდილობს საქართველოს ხელისუფლება რიონისა და ენგურის ხეობებში აგერ უკვე თითქმის 20 წელია. 2013 წლის 22 აგვისტოს საქართველოს ენერგეტიკის მაშინდელმა მინისტრმა, კახა კალაძემ ხელი მოაწერა №125 ბრძანებას „საქართველოში ასაშენებელი პოტენციური ელექტროსადგურების ნუსხის დამტკიცების თაობაზე“, რომლის მიხედვითაც საქართველოში, უკვე შერჩეულ ადგილზე და განსაზღვრული პროექტით უნდა აშენდეს 1,1 მგვტ-დან 670 მგვტ-მდე სიმძლავრის 74 ჰესი, ეს კი, ჰესების რაოდენობის, სულ ცოტა, გაორმაგებას ნიშნავს. ზემოთ ჩამოთვლილი გიგანტების გარდა, ასევე უნდა აშენდეს 70 მგვტ-იანი ალპანაჰესი, 206 მგვტ-იანი ონის კასკადი, 118 მგვტ-იანი ლენტეხიჰესი, 153 მგვტ-იანი სადმელი ჰესი, 230 მგვტ-იანი ფარიჰესი, 250 მგვტ-იანი ტობარი ჰესი...

ჯიმშერ რეხვიაშვილი

რადიო თავისუფლების ჟურნალისტი.

რატომ გახდა საგარეჯოში ახლად აღდგენილი წყლის სისტემა თავიდან გასაკეთებელი?!

(მეოთხე გვერდიდან)

ცისმარი კევლიშვილიც საგარეჯოში ცხოვრობს. ამბობს, რომ ორი წლის წინ ქალაქში წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით მასშტაბური პროექტი განხორციელდა. მთლიანად გამოიცვალა წყალგაყვანილობის სისტემა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა სათავე ნაგებობას, თუმცა მათთვის არაფერი შეცვლილა, წყალი ისევ არ აქვთ. ახლახან შენიშნეს, რომ ორი წლის წინ მიწაში ჩალაგებულ მილებს ისევ იღებენ და ახლით ცვლიან. რა მოხდა, მათ არავინ ეუბნება.

„აქ რომ მუშები მუშაობენ, მათ ვეკითხებით, რა მოხდა და როდის გვექნება წყალი, მაგრამ ისინი იცინიან... გამოდის, რომ წყალი კიდევ დიდი ხანი არ გვექნება! არავინ პასუხს არ იძლევა. ალბათ, ისე დავიხოცებით, წყალი არ გვექნება. ახლა 30 ლარის წყალი მქონდა მოტანილი და გამითავდა, გამითავდა ფულიც და ვეღარ ვყიდულობ. მერიდება და ვეღარ ვურეკავ იმ პიროვნებას, ვისაც წყალი მოაქვს ხოლმე, რადგან მე თვითონვე მრცხვენია წყლის ნისიად ყიდვა. ისე კარგი ბიჭია, ნისიაზე უარს არ გვეუბნება ხოლმე, მაგრამ მერე ერთიანად უნდა გადაიხადო ორი გზის ფული, 60 ლარი, და ესეც ძნელია“, — ამბობს ცისმარი კევლიშვილი.

საგარეჯოს წყალმომარაგების გაუმჯობესების პროექტი საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა დააფინანსა. ამ უწყებაში რადიო თავისუფლებას დაუდასტურეს ინფორმაცია, რომ საგარეჯოში სამუშაოები თავიდან არის შესასრულებელი და ეს პროცესი უკვე დაწყებულია. მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მოგვწერეს:

„პროექტის ფარგლებში, პირველი ფაზის სამუშაოების შედეგად, მოეწყო 110 კმიანი გამანაწილებელი ქსელი და 2 800 აბონენტისთვის ინდივიდუალური კვანძები. სამუშაოების დასრულების შემდეგ შესრულებული სამუშაოს ტესტირებისას გამოიკვეთა ხარვეზები და დეფექტები. ფონდის დავალებით, მშენებელი კომპანია გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრას უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯით. ამჟამად საგარეჯოში მიმდინარეობს წყალმომარაგების მეორე ფაზის სამუშაოები, რაც არსებული რეზერვუარების რეკონსტრუქციას და ინდივიდუალურ გამრიცხველიანებას ითვალისწინებს“.

პროექტი, რომელიც საგარეჯოში წყალმომარაგების პრობლემის მოგვარებას ითვალისწინებდა, დაახლოებით 6 მილიონი ლარი დაჯდა და კომპანიამ „თბილი სახლი“ შეასრულა. კომპანიის ვებსაიტზე გამოქვეყნებული ინფორმაციით, წყალგაყვანილობისა და გათბობა-კონდიცირების სისტემები მათ მიერ არის დამონტაჟებული ათეულობით სამთავრობო თუ კერძო სტრუქტურაში, მათ შორის ქუთაისში მდებარე პარლამენტის ყოფილ შენობაში, შინაგან საქმეთა სამინისტროში, ეროვნული ბანკის ოფისში, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში და ასე შემდეგ. როგორც რადიო თავისუფლებას „თბილი სახლის“ ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა თეონა გულბედავამ განუცხადა, არც ერთი პროექტის შესრულების დროს მათ ხარვეზი არ ჰქონიათ, საგარეჯოს შემთხვევაში კი პრობლემა განაპირობა მილების ხარისხმა და არა შესრულებულმა სამუშაოებმა.

„ჩავდეთ მილები. სამუშაოები რომ დასრულდა, დავიწყეთ მისი ტესტირება და ამ დროს აღმოჩნდა, რომ მილები იყო შესაცვლელი. ხარვეზის აღმოფხვრა უკვე მიმდინარეობს, ანუ ამ მილებს ახლით ვცვლით. სამუშაოებზე კომპანია საკუთარი ფინანსებს ხარჯავს. მეც და კომპანიის თითოეული თანამშრომელი ძალიან ნერვიულობს ამ პროექტზე. ჩვენ ძალიან კარგად გვესმის თითოეული ადგილობრივის და შევდივართ მათ მდგომარეობაში, მაგრამ მოხდა ასეთი რაღაც. სამუშაო პროცესია და ამისგან დაზღვეული არავინ არის“.

ოფიციალური ინფორმაციით, საგარეჯოში 2 800 აბონენტია. შესაბამისად, წყლის პრობლემა ყოველ მათგანს აწუხებს. კომპანია „თბილი სახლის“ წარმომადგენელი ირწმუნება, რომ ხარვეზი აღმოიფხვრება და პროექტი მიმდინარე წლის ბოლომდე დასრულდება, თუმცა ადგილობრივი მოსახლეობა ამბობს, რომ ვიდრე მათი ონკანებიდან წყალი არ გადმოვა, დაპირებების უკვე აღარ სჯერათ.

გიორგი ალადაშვილი

„კალასი+ ტებალდი= მონსერატ კაბალიეს“

47 ᲬᲔᲚᲘ გავიდა, მაგრამ იმ დროს მიღებული შთაბეჭდილება ჯერ კიდევ არ გამქრალა, ისევ ცოცხლობს. მომღერალი (სოპრანო) მონსერატ კაბალიე 1974 წლამდე ჩემთვის სრულიად უცნობი იყო, ვიდრე ბელინის ოპერა „ნორმაში“ მისი მოსმენის საშუალება არ მომეცა. მანამდე ჩემს ფავორიტებად ლეგენდარულ მარია კალასს და რენატა ტებალდის ვთვლიდი, მაგრამ მოსმენილმა სულ სხვა განცდა დამიტოვა. სცენაზე იდგა ტანადი მანდილოსანი, რომელიც ზღაპრულ ხმას გამოსცემდა. მდიდარი ხმის სასიამოვნო ტემბრი ობერტონებით იყო გაჯერებული, როგორც დაბალ და საშუალო რეგისტრში, ასევე უკიდურესად მაღალი ნოტების დროს, ლირიულ მომენტებში ხმა არაჩვეულებრივად რბილი და ნაზი იყო, დრამატულ ეპიზოდებში კი ცეცხლოვანი ვნებით მომნუსხველი, რასაც თან ახლდა შესანიშნავი საშემსრულებლო ტექნიკა და უმაღლესი მუსიკალურობა. მისი ხმა აღფრთოვანებას იწვევდა თავისი ელასტიურობით, სიკაშკაშით, ნათელი ტემბრით და გასაკვირი სისუფთავით.

ყველაფერ ამას თან ახლდა სამხრეთული ტემპერამენტი, რომელიც მომღერლის ნებისმიერ ფრაზაში და ნოტში იგრძნობოდა. შესრულება იმდენად მომხიბლავი და გამაოგნებელი იყო, რომ გულგრილი არავინ დაუტოვებია. მაყურებელი ყოველი არიის და დუეტის შემდეგ, მის გამეორებას ითხოვდა. დიდხანს არ უშვებდნენ სცენიდან. მოსმენილისგან მიღებული სულიერი საზრდო, საკმაოდ ხანგრძლივად კვებავდა ჩემ პიროვნებას. აშკარა იყო, რომ მაყურებლის წინ „ბელ კანტოს“ უდიდესი წარმომადგენელი იდგა. ამიერიდან ორ საქვეყნოდ აღიარებულ დივას, მესამეც შეემატა.

მონსერატ კაბალიე, სრული სახელით — მარია დე მონსერატ ვივიანა კონსეპსონ კაბალიე ი ფოლკი ესპანეთის ქალაქ ბარსელონაში 1933 წლის 12 აპრილს, დაიბადა. როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ბავშვობაში დიდი მუსიკალურობით არ გამოირჩეოდა, თუმცა სიმღერისადმი ინტერესი ჰქონდა. სწორედ ამან განაპირობა ბარსელონის თეატრ „ლისეოსთან“ არსებულ კონსერვატორიაში მისი ჩარიცხვა, რომელიც 1954 წელს დაამთავრა. უკვე ორი წლის შემდეგ იგი ბაზელის საოპერო თეატრის სოლისტი ხდება, სადაც დიდი მონდომებით ეუფლება და მღერის მთავარ პარტიებს ვერდის „აიდაში“, პუჩინის „ტოსკაში“, შტრაუსის „არაბელასა“ და მასნეს „იროდიადში“.

1956-65 წლებში მომღერალი უკვე შთამბეჭდავი წარმატებით გამოდის ევროპის ქალაქებში: მილანი, პარიზი, ვენა, ლისაბონი, ბარსელონა, ბრემენი. მეხიკოში უდიდესი ტრიუმფით ასრულებს მანონის პარტიას მასნეს ამავე სახელწოდების ოპერაში. საერთაშორისო რეზონანსი გამოიწვია მისმა გამოსვლამ „კარნეგი ჰოლში“, სადაც 1965 წელს საკონცერტო შესრულებით იმღერა ლუკრუციას პარტია დონიცეტის „ლუკრეცია ბორჯიაში“. აქ კაბალიემ ცნობილი ამერიკელი სოპრანო მერილინ ხორნი შეცვალა. მისი სიმღერა იმდენად მომაჯადოებელი იყო, რომ მაყურებელმა მომღერალს 20 წუთიანი ოვაცია გაუმართა. გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ ასეთი რეცენზია გამოაქვეყნა — „კალასი(ტებალდი ! კაბალიეს“. „ქალბატონ კაბალიეს საკმარისი იყო ემღერა პირველი რომანსი და ცხადი გახდა, რომ იგი არა მარტო სუფთა და მშვენიერი ხმის პატრონია, არამედ ამავე დროს შესანიშნავად ფლობს სასიმღერო ოსტატობას... მას შეუძლია იწვოდეს უმაღლეს რეგისტრში, თითოეული ნოტის სრული კონტროლით, ხოლო ხმის ყველაზე მაღალი ჟღერადობის დროს არ კარგავს სათანადო კონტურის სინათლეს და სიზუსტეს...“ გაზეთი „ჯერალდ ტრიბუნი“ ასევე წერდა: „არანაირ წინასწარ რეკლამას არ შეეძლო აღებეჭდა იშვიათი შთაბეჭდილება, როგორიც ამ ქალბატონმა, თითქოს გოიას ტილოდან ჩამოსულმა, მოახდინა აუდიტორიაზე. როდესაც კაბალიემ იმღერა თავისი პირველი არია, თითქოს რაღაც შეიცვალა ირგვლივ. მოგვეჩვენა, რომ რაღაც წამით ადამიანებმა სუნთქვა შეწყვიტეს...“

1965 წელს თეატრის გენერალური დირექტორის რუდოლფ ბინგის პირადი მიწვევით კაბალიე „მეტროპოლიტე-ოპერაში“ მღერის მარგარიტას პარტიას გუნოს ოპერა „ფაუსტში“. ამის შემდეგ იგი ამ თეატრში 23 წელი (1988 წლამდე) გამოდიოდა. სახელგანთქმული თეატრის სცენაზე მან განახორციელა ყველაზე ცნობილი და საუკეთესო საოპერო პარტიები, როგორიცაა: ლუიზა ვერდის „ლუიზა მილერიდან“, ლეონორა „ტრუბადურიდან“, ვიოლეტა „ტრავიატადან“. დეზდემონა „ოტელოდან“, აიდა ამავე სახელწოდების ოპერიდან და ნორმა ბელინის „ნორმადან“.

1964 წელს კაბალიე ცოლად გაჰყვა ბერნაბე მარტის. 1966 წელს მას ვაჟი — ბერნაბე, ხოლო 1972 წელს ქალიშვილი — მონსერატი შეეძინა.

ნაწარმოებისადმი მომღერლის ინდივიდუალური მიდგომა, მისადმი მხატვრული სახის შეძენა და ღირსეულად წარმოჩენა იგრძნობა მის მიერ შესრულებულ თითქმის ყველა პარტიაში, ფრაზასა თუ ნოტში. მიუხედავად იმისა, რომ მსახიობური ოსტატობით მაინც და მაინც ვერ ბრწყინავდა, იმდენად შთამბეჭდავი იყო კაბალიეს სიმღერა, რომ ამ ნაკლოვანებას ყურადღებას ნამდვილად არ მიაქცევდი. მას არასოდეს ღალატობდა მუსიკალური გემოვნება და ყველგან და ყოველთვის გამოირჩეოდა მხატვრული ტაქტით. მის განუმეორებელ შესრულებას, მთლიანობაში, სრულ მღელვარებაში ჰყავდა მსმენელი.

1970 წლის 24 იანვარს მომღერლის დებიუტი „ლა სკალას“ თეატრში შედგა, სადაც განასახიერა მთავარი პარტია დონიცეტის „ლუკრეცია ბორჯიაში“. ამ თეატრში მომდევნო პერიოდში მან არა ერთი ოპერის წამყვანი პარტია შეასრულა უდიდესი წარმატებით.

1970 წელსვე მონსერატი ჩამოდის საბჭოთა კავშირში, დედის მხრიდან ნათესავების მოსანახულებლად, რომლებიც 1930-იან წლებში ემიგრირებულ იყვნენ ესპანეთში სამოქალაქო ომის დროს.

1972 წელს მომღერალი ტრიუმფით გამოდის ლონდონის „კოვენტ-გარდენის“ თეატრის სცენაზე, ასრულებს ვიოლეტას პარტიას ვერდის „ტრავიატაში“. პარიზში მის მიერ შესრულებული ნორმას პარტიის ჩვენების შემდეგ, მარია კალასმა დაურეკა და ასე მიმართა: „დიდებულია თქვენი მსახურება, როგორც მუსიკის, ასევე შესრულებული როლის მიმართ“.

დაუღალავმა შრომამ, სამხატვრო იდეალებისადმი განსაკუთრებულმა სწრაფვამ, მისადმი ერთგულებამ, პრინციპულობამ, დაუდევრობისა და ინერტულიბისადმი შეურიგებლობამ მას უმაღლესი პროფესიული თვისებები შესძინა. კაბალიემ მსოფლიო აღიარება რამდენიმე პარტიით მოიპოვა, თუმცა მომღერლის რეპერტუარი ფრიად მრავალფენოვანია, მონდომებით და საინტერესო ინტერპრეტაციით ასრულებს თითქმის მივიწყებულ და იშვიათად დადგმულ ოპერებს: კლეოპატრას, ჰენდელის „იული ცეზარი ევროპაში“; ალიდას, ბელინის „უცხოელში“; ანა ბოლეინას და სანჩას, დონიცეტის „ანა ბოლეინასა“ და „სანჩა კასტილსკაიაში“; იაროსლავნას, ბოროდინის „თავად იგორში“; სალომეას, მასნეს „იროდიაში“; დიდონას, პიორსელის „დიდონა და ენეიში“; გულნარას და მინას, ვერდის „კორსარსა“ და „არროლდოში“ და სხვა... მომღერლისთვის შესანიშნავ სკოლას წარმოადგენდა ვაგნერის ოპერებში მონაწილეობა.

1988 წელს ცნობილი ვოკალური ჯგუფის „ქვინის“ სოლისტ ფრედი მერკურთან ერთად მონსერატ კაბალიემ ალბომი გამოსცა, რომლის სიმღერა ქალაქ ბარსელონას ეძღვნება. 1992 წელს ბარსელონაში გამართული ზაფხულის ოლიმპიური თამაშების დროს, ეს სიმღერა მის ოფიციალურ ჰიმნად იქცა. ოლიმპიადის გახსნის ცერემონიალზე გათვალისწინებული იყო მომღერლების მიერ ამ კომპოზიციის ცოცხლად შესრულება, თუმცა ღონისძიების ჩატარებამდე რამოდენიმე ხნით ადრე, მოულოდნელად, ფრედი მერკური გარდაიცვალა, ამის გამო სიმღერა ჩანაწერის სახით განხორციელდა.

მონსერატ კაბალიეს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის სახელგანთქმული ტენორის ხოსე კარერასის აღმოჩენაში. მან პირველმა შეამჩნია ახალგაზრდა კარერასში იშვიათი მონაცემები, უდიდესი ყურადღებით და ერთგულებით მოეკიდა მომღერლის შემდგომ წინსვლას და მთელი მსოფლიოს წარუდგინა მისი პიროვნება. „რასაკვირველია, იგი გენიალურია, გამოირჩევა ულამაზესი ხმით, მუსიკალურობით, შრომისმოყვარეობით და მიზანსწრაფულობით. მე ბედნიერი ვარ, რომ პირველმა დავინახე ეს ბრილიანტი და მივეხმარე მას, გაეცნო მსოფლიოს“. — აცხადებს სოპრანო კარერასის შესახებ. კაბალიეს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ 1989 წელს კარერასის ლეიკემიით დავადების დროს, მან ყველა საქმე გადადო და ტენორის გვერდით დადგა, არაფერი დაიშურა, ბოლომდე უერთგულა, რწმენა გაუმყარა, შეუძლებელი შეძლო, რათა კარერასი გამოჯანმრთელებულიყო. ამან შედეგი გამოიღო, ტენორი სიკვდილს გადაურჩა და სცენას ისევ დაუბრუნდა.

არა ერთი ცნობილი მუსიკალური კრიტიკოსის აზრით, მონსერატ კაბალიე მე-20-ე საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე მაღალხარისხოვანი და ლამაზი ხმის მქონე მომღერლად ითვლება. ამიტომაა, რომ მისმა გულშემატკივრებმა სუპერ ხმა შეარქვეს. სოპრანოს შემოქმედებითი კარიერა თითქმის 50 წელი გრძელდებოდა. შესრულებული აქვს 90-ზე მეტი საოპერო პარტია, კანტატა, ორატორია, დაახლოებით 800-მდე კამერული ნაწარმოები.

2008 წელს კაბალიემ ჟურნალისტებს ამცნო, რომ ჯერ კიდევ 1992 წელს „კოვენტ-გარდენის“ საოპერო თეატრში გასტროლების დროს, ექიმებმა უკურნებელი სენი დაუდგინეს, რომ მას ორი-სამი წლის სიცოცხლეღა ჰქონდა. მომღერალს სასწრაფო ოპერაციის გაკეთება ურჩიეს, მაგრამ მან ამაზე უარი განაცხადა. სათანადო სამკურნალო კურსის ჩატარების შემდეგ, იგი კარგად შეიქმნა. მონსერატს ისევ მოუნდა „სიცოცხლე და სიმღერა“, თუმცა ექიმებმა საოპერო სპექტაკლებში მონაწილეობისაგან თავის შეკავება ურჩიეს, ამიტომ მომღერალი მხოლოდ საკონცერტო გამოსვლებით შემოიფარგლა. 2010 წლის ივნისში, კონცერტის დროს, კაბალიე წაიქცა და მარცხენა მუხლი დაიზიანა, 2011 წელს ეკატერინბურგში კონცერტის წინ სასტუმროში უგონოდ შეიქნა. მომღერალი დიდი ხნით აღმოჩნდა სან-პაუს საავადმყოფოში.

2912 წელს ათწლიანი შესვენების შემდეგ, კაბალიე ბრუნდება სცენაზე და ბარსელონის „ლისეოს“ საოპერო თეატრში ასრულებს ეკატერინე არაგონსკის პარტიას სენ-სანსის ოპერა „ჰენრიხ VIII“-ში. ფიზიკური მდგომარეობის გამო, ბოლო ათეული წელი, მომღერალი სამწუხაროდ ყავარჯნებით და ინვალიდის ეტლით გადაადგილდებოდა.

გამორჩეულად დასამახსოვრებელი იყო მონსერატ კაბალიეს ჩამოსვლა თბილისში 2007 წელს, როცა მან მსოფლიო ბანის პაატა ბურჭულაძის ძალისხმევით აქტიური მონაწილეობა მიიღო „იავნანას“ საქველმოქმედო გალა-კონცერტში და ჩვენს პატრიარქსაც შეხვდა...

ღვაწლმოსილ სოპრანოს უდიდესი დამსახურება და წვლილი მიუძღვის ვოკალური ხელოვნების აღორძინებაში, განვითარებასა და საერთაშორისო დონეზე წარმოჩენაში. მას მინიჭებული ჰქონდა არაერთი ესპანური და სხვა ქვეყნის ჯილდო — 15 ორდენი და 18 სხვადასხვა სახის პრემია. იყო იუნესკოს „კეთილი ნების ელჩი“. შეყვანილია ჟურნალ „გრამაფონის“ დიდების დარბაზის შემადგენლობაში.

* * *

2018 ᲬᲚᲘᲡ 5 ᲝᲥᲢᲛᲑᲔᲠᲘᲡ ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘᲡ BTVE-Ს ᲢᲔᲚᲔ ᲐᲠᲮᲛᲐ ᲙᲐᲑᲐᲚᲘᲔᲡ ᲑᲝᲚᲝ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲒᲐᲓᲐᲡᲪᲐ, 6 ᲝᲥᲢᲛᲑᲔᲠᲘᲡ ᲙᲘ 85 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲐᲚᲘ ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ. ᲓᲐᲙᲠᲫᲐᲚᲣᲚᲘᲐ ᲑᲐᲠᲡᲔᲚᲝᲜᲐᲨᲘ „ᲡᲐᲜᲢ-ᲐᲜᲓᲠᲔᲣᲡ“ ᲡᲐᲡᲐᲤᲚᲐᲝᲖᲔ, ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ.

ᲒᲔᲚᲐ ᲯᲝᲯᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ;
ვოკალისტთა კონკურსების ლაურეატი,
ქართული კულტურის ამაგდარი,
ვანო სარაჯიშვილის ფონდის
ვიცე-პრეზიდენტი,

მოსახლეობა საშეშე მასალას ტყეში ველარ მოჭრის...

ყიდვა „საქმიან ეზოებში“ იქნება შესაძლებელი

სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას საშეშე მასალის ყიდვა ე.წ. „საქმიან ეზოებში“ მოუწევს. აღნიშნულს „ტყითსარგებლობის წესი“ ითვალისწინებს, რომელიც დღეს გამართულ მთავრობის სხდომაზე მიიღეს. წესი ძალაში 2023 წლიდან შევა.

სამინისტროს ცნობით, ახალი „ტყითსარგებლობის წესი“ ადგენს ტყით მდგრადი მართვისა და სარგებლობის სამართლებრივ მექანიზმებს, რაც უზრუნველყოფს ჩვენი ტყეების რესურსებით მდგრად სარგებლობას ტყის ეკოლოგიური ღირებულებებისა და მახასიათებლების გაუმჯობესების, დაცვისა და შენარჩუნების პირობებში.

„მოსახლეობისთვის, საჯარო და ბიზნეს სექტორისთვის გაუმჯობესდება ხელმისაწვდომობა ტყის რესურსებზე — როგორც მერქნული (სამასალე, შეშა), ისე არამერქნული და, ასევე, ხე-ტყის ნარჩენის სახით, რომელიც აქტიურად გამოიყენება ალტერნატიული და ეკოლოგიური ენერგიის წყაროების საწარმოებლად (ბრიკეტები, პელეტები) და მნიშვნელოვანი რგოლია ტყეზე ზეწოლის შემცირებისთვის.

გარდა ამისა, ტყის რესურსებზე წვდომა დაეფუძნება სრულიად ღია და გამჭვირვალე პროცესს — საშეშე და სამასალე მერქნის დამზადებას მხოლოდ ტყის მართვის ორგანოები უზრუნველყოფენ, შესაბამისი წესით დაახარისხებენ და განათავსებენ დასაწყობების ადგილებზე, ე.წ. „საქმიან ეზოებში“, რომლებიც საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში იფუნქციონირებს. ტყის რესურსების რეალიზაცია მოხდება როგორც აუქციონის წესით (ძირითადად, მაღალი ხარისხის, ე.წ., სამასალე მერქანი), ისე პირდაპირი მიყიდვის გზით (შეშა და ხე-ტყის ნარჩენი)“, — ნათქვამია მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციაში.

ამასთან, განსაკუთრებით აღსანიშნავია „ტყითსარგებლობის წესით“ დადგენილი სპეციალური ტყითსარგებლობის სახეები — ტყის არამერქნული რესურსების, მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების დამზადება.

„ახალი „ტყითსარგებლობის წესის“ მიღებამდე, ასეთი რესურსებით სარგებლობა კომერციული მიზნებისთვის აკრძალული იყო. ახალმა კანონმა და წესმა, ბაზარზე არსებული მოთხოვნის გათვალისწინებით, შესაძლებელი გახადა ასეთი რესურსის კომერციალიზაცია; ასევე, საკურორტო, რეკრეაციული, სპორტული და სხვა კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნებით ტყით სარგებლობა, რაც კიდევ უფრო გაზრდის ჩვენი ქვეყნის და მისი უნიკალური ველური ბუნების ეკოტურისტულ პოტენციალს და შესაძლებელს გახდის, რომ სარეკრეაციო-ტურისტული საქმიანობები განხორციელდეს არა მხოლოდ დაცული ტერიტორიების ფარგლებში, არამედ საქართველოს ტყის ყველა ნაწილში. მთავრობის მიერ მიღებული ახალი „ტყითსარგებლობის წესი“ პრაქტიკაში ამკვიდრებს ტყის კოდექსით დადგენილ პრინციპებს და ჩვენს მოქალაქეებს შესაძლებლობას აძლევს, ტყის რესურსებით მდგრადად ისარგებლონ მრავალფუნქციური მიმართულებით“, — განმარტავენ გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროში.

ლაგოდეხში ბუნებას აჩანაგებენ

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის კახეთის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, ხე-ტყის უკანონო ჭრისა და ტრანსპორტირების ფაქტები გამოავლინეს.

მოქალაქეები, სოფლებში — ბოლოკიანსა და საქობოში, შესაბამისი დოკუმენტაციის გარეშე ახდენდნენ უკანონოდ მოპოვებული 3,5 მ³-მდე ოდენობის, ჭალის მუხის სახეობის პირველი და მეორე ხარისხის მორების ტრანსპორტირებას. მათ აღნიშნული ხე-ტყე სოფელ ჰერეთისკარის მიმდებარედ, შ.პ.ს „ფასუნას“ ტყის ტერიტორიაზე უკანონოდ მოჭრეს და დაამზადეს.

სამართალდამრღვევთა მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმები. მასალები, შემდგომი რეაგირებისთვის, შესაბამის უწყებას გადაეგზავნა. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, 2021 წლის 1 აპრილიდან 30 აპრილის ჩათვლით, ხე-ტყის უკანონო მოპოვებისა და ტრანსპორტირების 210 ფაქტი გამოავლინეს, მათ შორის 12 ფაქტი სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავს.

ვანდალებო, ნუ ძარცვავთ ავტომატურ სადგურებს!

გარემოს ეროვნული სააგენტო შეშფოთებას გამოთქვამს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განთავსებულ სასიცოცხლო მნიშვნელობის ავტომატურ სადგურებზე მოსახლეობის მხრიდან გახშირებული ვანდალური ფაქტების გამო.



„სადგურების დაზიანების ფაქტები, ძირითადად, კახეთის, მცხეთა-მთიანეთის და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში დასტურდება.

აღნიშნული სადგურების ფუნქციონირება ემსახურება ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვას. ავტომატური მოწყობილობების საშუალებით, გარემოს ეროვნულ სააგენტოს უწყვეტ რეჟიმში მიეწოდება მონაცემები სხვადასხვა მდინარის წყლის დონეების მატების და მიმდებარე ტერიტორიაზე მოსული ატმოსფერული ნალექების რაოდენობის შესახებ. სადგურებიდან მიღებული ინფორმაციით, ასევე, ხდება მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლების რაოდენობრივი და ხარისხობრივი ძირითადი მახასიათებლების დადგენა, რომლის საბოლოო მიზანი გრძელვადიან პერსპექტივაში ადგილობრივი მოსახლეობის ხარისხიანი სასმელი წყლით უზრუნველყოფაა.

სადგურები, ძირითადად, განთავსებულია დაუსახლებელ ადგილებზე და მდინარეების მიმდებარედ. შესაბამისად, კომუნიკაციების არარსებობის გამო, რთულდება მათი სრულყოფილი დაცვა. სადგურების დაზიანებით გამოწვეული ფინანსური ზარალი ათეულობით ათას ლარს აღემატება. თითოეულ ვანდალურ ფაქტთან დაკავშირებით, გარემოს ეროვნული სააგენტოს მიმართვის საფუძველზე, აღძრულია სისხლის სამართლის არაერთი საქმე. სააგენტო მოუწოდებს მოსახლეობას, შეწყვიტოს ვანდალიზმი“, — ნათქვამია სააგენტოს განცხადებაში.

მავნე ორგანიზმებით დაავადებული 5 700 ცალი ყვავილი გაანადგურეს

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის „აეროპორტის“ გაფორმების ეკონომიკურ ზონაში, საერთაშორისო საჰაერო გადაზიდვების ფარგლებში, კენიის რესპუბლიკიდან 5700 ცალი, სხვადასხვა სახეობის მოჭრილი ყვავილი იქნა შემოტანილი. კონტროლის პროცედურების განხორციელებისას, საბაჟო დეპარტამენტის სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კონტროლის სამმართველოს თანამშრომლების მიერ, დადგინდა, რომ საქონელი დაბინძურებული იყო მავნე მწერებით, ხოლო აღებული ნიმუშების ლაბორატორიული კვლევის შედეგად, საკარანტინო მავნე ორგანიზმი — Frankliniella occidentalis გამოვლინდა.

საქართველოს მთავრობის №463 დადგენილების თანახმად, აღნიშნული საქონელი განადგურებას დაექვემდებარა.

ატმოსფეროს დაბინძურებამ კრიტიკულ ზღვარს გადააჭარბა!..

(მეხუთე გვერდიდან) წიაღისეული საწვავის მოხმარების შემცირება და უკეთეს შემთხვევაში განულება, აუცილებელი, მაგრამ არასკამარისი წინაპირობაა. კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრობლემას ტყეების გაჩეხვა წარმოადგენს, რაც ნახშირორჟანგის შთანთქმის შესაძლებლობებს ამცირებს.

ატმოსფეროს დაბინძურება და გლობალური დათბობა ინდუსტრიალიზაციისა და ტექნოლოგიური წინსვლის ბნელ მხარეს წარმოადგენს, მაგრამ საერთო ჯამში, დადებით შედეგებს მაინც ვერ გადასწონის. სწორედ ბოლო 200 წელიწადში მოსახლეობა 1 მლრდ-დან 7.8 მლრდ-მდე გაიზარდა, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა გაორმაგდა და 70 წელს გადააჭარბა, ზოგიერთ განვითარებულ სახელმწიფოში 85 წელსაც. მონათმფლობელობა და ფეოდალური წყობილება დაემხო, ქალის უფლებები კაცისას გაუთანაბრდა, უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრებთა პროცენტული წილი 95%-დან 9%-მდე შემცირდა.

წარსულში გადახედვით შეიძლება აღმოვაჩინოთ, რომ ძალიან ბევრი ზიანის თავიდან აცილება შეგვეძლო, მაგრამ ნებსით თუ უნებლიედ, ვერ მოვახერხეთ. ელექტრომობილი და მზის ელექტროსადგური არ წარმოადგენს არც XX და მით უფრო არც XXI საუკუნის ტექნოლოგიებს, ერთიც და მეორეც XIX საუკუნეში გაჩნდა. ახლა მხოლოდ წარმოდგენით შეგვიძლია აღვადგინოთ ის სურათი, თუ როგორი იქნებოდა მსოფლიო, ნავთობზე დამოკიდებული რომ არ გამხდარიყო.

ელექტრომობილების, მზის პანელების, ქარის ტურბინებისა თუ ენერგოეფექტური ტექნოლოგიების წილის ზრდა მომავლის გარკვეულ იმედებს აჩენს. ფასების კლებისა და ტექნოლოგიების დახვეწის შემთხვევაში (ელექტრომობილისთვის სუპერსწრაფდამტენის) პროცესი მნიშვნელოვნად დაჩქარდება. დღეისთვის მზისა და ქარის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის წილი 7%-ს შეადგენს, ელექტრომობილების კი 1%-ზე ნაკლებია, თუმცა გაყიდვებში უკვე 4.4%-ს გადააჭარბა.

საქართველო ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლით მსოფლიოს არამხოლოდ მდიდარ ქვეყნებს, საშუალო მაჩვენებელსაც ჩამორჩება. ჩამორჩენა იგრძნობა ტექნოლოგიებშიც. მიუხედავად იმისა, რომ ელექტრომობილზე განბაჟების ნულოვანი ტარიფი მოქმედებს, მათი წილი მიზერულია. მზის ელექტროსადგურის და ქარის ელექტროსადგურის წილიც ჯამურ გენერაციაში 0.8%-ზე ნაკლებია. ფასების კიდევ უფრო ვარდნის შემთხვევაში აღნიშნულ ტექნოლოგიებზე მოთხოვნის ზრდაა მოსალოდნელი.

წიაღისეულმა საწვავმა კაცობრიობას დიდი მსხვერპლის ფასად დიდი განვითარებაც მოუტანა, მაგრამ მისი ეპოქა, მორალურადაც და ტექნოლოგიურადაც დაძველდა. ნახშირის წვის გაგრძელება, სხვა ყველაფერთან ერთად არალოგიკურიც გახდა.

გიორგი ელიზბარაშვილი



...ᲣᲤᲠᲝ ᲓᲘᲓᲘ ᲙᲐᲢᲐᲡᲢᲠᲝᲤᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ!

ᲠᲐᲛ ᲨᲔᲣᲨᲐᲚᲐ ᲮᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡ ᲢᲐᲫᲐᲠᲨᲘ ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲩᲐᲥᲠᲝᲑᲐᲡ?

თანამედროვე ხანძარსაწინააღმდეგო ტექნოლოგიებით ურთულეს ხანძრებთან გამკლავება შესაძლებელია. სწორედ ეს ტექნოლოგიები იძლევა საშუალებას, რომ ატომურ ელექტროსადგურებზე, ნავთობგადამამუშავებელ ქარხნებში, ფეთქებადი და სწრაფად აალებადი მასალების საწყობებსა თუ ცათამბჯენებზეც ცეცხლის ჩაქრობა უმოკლეს დროში მოხდეს. მაშინ რატომ გახდა პარიზის ცენტრში მდებარე ღვთისმშობლის ტაძარში გაჩენილი ხანძარი გამოცდილი და კარგად აღჭურვილი ფრანგი მეხანძრეების პრობლემა?

პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის ხანძარმა, რომელიც საათების განმავლობაში გაგრძელდა, ისტორიულ შენობას უზარმაზარი ზიანი მიაყენა. საკათედრო ტაძრის სახურავი და ჭერის კონსტრუქციები მთლიანად განადგურდა, დაზიანდა შიდა სივრცეები შუა საუკუნეების უნიკალური ინტერიერითა და დიდი ისტორიული და მხატვრული ღირებულების რელიგიური საგნებით.

ხანძრის შემდეგ ბევრმა საფრანგეთის საგანგებო სამსახურები დაგვიანებულ რეაქციასა და არაპროფესიონალიზმში დაადანაშაულა. ნამდვილად ასეა თუ არა? რატომ მისცეს მეხანძრეებმა ცეცხლს გაძლიერების და ისტორიული ძეგლის დაზიანების საშუალება? დღეს ამ კითხვებზე პასუხები უკვე არსებობს.

1. მთავარი მიზეზი, რომელმაც ხანძარს გავრცელებისა და გაძლიერების საშუალება მისცა, ტექნიკური შეზღუდვები იყო, რომლებმაც მეხანძრეებს ფაქტობრივად, ხელ-ფეხი შეუკრა. დიახ, ცეცხლის ეფექტური ქრობისთვის მთავარ დაბრკოლებად 850 წლის შენობის უნიკალურობა იქცა. ცეცხლის ქრობისთვის დიდი რაოდენობით წყლის გამოყენება ორი მიზეზის გამო, შეუძლებელი გახდა:

2. ახურებულ ქვაზე წყლის მოხვედრა ტემპერატურის ვარდნას და ქვაზე ბზარების გაჩენას გამოიწვევდა.

ქვის კონსტრუქციებზე ტონობით წყლის მოხვედრა მათი წონის მნიშვნელოვან ზრდას და შესაბამისად, ჩამონგრევის რისკს გაზრდიდა. პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის კედლები ფრანგული ქვიშაქვისგან აიგო, რომელიც დასველების დროს თვისებებს იცვლის, ამიტომ წყლით ქრობის შემთხვევაში მზიდი კედლების გადარჩენის შანსი მცირდებოდა.

ესპანეთის კულტურული მემკვიდრეობის ინსტიტუტის გენერალური დირექტორის მოადგილემ, ხავიერ რივერა ბლანკომ ფრანგ მეხანძრეებს მოუწოდა წყლის გამოყენებაზე საერთოდ უარი ეთქვათ. მისი აზრით, წყალი ბევრად უფრო საშიშია ტაძრის კონტრუქციისთვის, ვიდრე ცეცხლი. ბლანკომ 1966 წელს ესპანეთის ქალაქ ლეონის გოთიკურ ტაძარში გაჩენილი ხანძარი გაიხსენა, როდესაც ცეცხლი სპეციალური ფხვნილისა და ქაფის დახმაფრებით ჩააქრეს და შენობის უმეტესი ნაწილი გადაარჩინეს.

„უმჯობესია ხის დაწვა დაუშვათ, ვიდრე ქვის კედლებზე წყალი ასხათ, რადგან წონის გაზრდამ შეიძლება სტრუქტურის დაშლა გამოიწვიოს“, — განაცხადა ბლანკომ.

კიდევ ერთი მიზეზი, რომელმაც მეხანძრეებს ცეცხლის სწრაფად ჩაქრობაში ხელი შეუშალა, თავად ტაძრის არქიტექტურა იყო. ჩვეულებრივ, შენობის სახურავზე ცეცხლის გაჩენის შემთხვევაში მეხანძრეები სახურავს ხსნიან და მიღებული ღიობების დახმარებით ქრობის სამუშაოებს იწყებენ. პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის კონუსური და მაღალი დახრილობის მქონე სახურავები ასეთი მიდგომის შესაძლებლობას მთლიანად გამორიცხავდა. ამერიკელმა ექსპერტმა და ძველმა მეხანძრემ გრეგ ფავრმა კიდევ რამდენიმე მიზეზი დაასახელა, რომელმაც ფრანგ სპეციალისტებს მუშაობაში ხელი შეუშალა.

„სრულიად ნათელია, რომ ტაძრის სხვენსა და სახურავზე წყლის მიწოდება წარმოუდგენლად საშიში იყო, რადგან კონსტრუქცია შეიძლებოდა ნებისმიერ წუთს ჩამოშლილიყო. ეს უფრო დიდი კატასტროფა იქნებოდა“. ფავრის თქმით, მაშინაც კი, როდესაც ხანძრის ქრობაზე მაღალი კლასის სპეციალისტები მუშაობენ, დაბნეულობის ფაქტორიც არ უნდა დაგვავიწყდეს. პირველ წუთებრში დანამდვილებით არავინ იცოდა, მოხდა თუ არა ტაძრიდან ხალხის მთლიანად ევაკუაცია. ფავრი ამტკიცებს, რომ ფრანგი მეხანძრეები სწორად მოქმედებდნენ, როდესაც არ იჩქარეს წყლის გამოყენება — თუნდაც საქმე შუასაუკუნეების ყველაზე უნიკალურ შენობებსა და ნაგებობებს ეხებოდეს, ადამიანის სიცოცხლე უპირატესია.

ფავრი, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ მეხანძრედ ითვლება, ფრანგი მეხანძრეების არაკომპეტენტურობის შესახებ ბრალდებებს უარყოფს. ის მიიჩნევს, რომ პარიზში უმაღლესი კლასის მეხანძრეები მუშაობენ და მათთვის პრეტენზიების წაყენება უსამართლოა.

◎ თელ-ლახიშის საიდუმლო

ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘᲐ ᲣᲫᲕᲔᲚᲔᲡᲘ ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲠᲐᲛ ᲒᲕᲘᲗᲮᲠᲐᲡ ᲐᲜᲑᲐᲜᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲨᲘ, ᲐᲠᲥᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠ ᲫᲔᲒᲚ თელ-ᲚᲐᲮᲘᲨᲖᲔ ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚ ᲥᲘᲚᲐᲖᲔ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲜᲑᲐᲜᲣᲠᲘ ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲔᲑᲘ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲗ 3450 ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲜᲓᲔᲚᲘᲐ. ᲛᲙᲕᲚᲔᲕᲐᲠᲗᲐ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲗ, ᲘᲡ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ „ᲜᲐᲙᲚᲣᲚ ᲠᲒᲝᲚᲡ“ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲓᲔᲡ ᲐᲜᲑᲐᲜᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ.

„წარწერა ძვ. წ. მე-15 საუკუნით თარიღდება და ამჟამად, საიმედოდ დათარიღებული უძველესი ანბანური წარწერის ნიმუშია“, — წერს მკვლევართა ჯგუფი ჟურნალ Antiquity-ში გამოქვეყნებულ კვლევაში, რომელსაც ავსტრიის არქეოლოგიური ინსტიტუტის არქეოლოგი ფელიქს ჰოფლმაიერი ხელმძღვანელობდა.

უძველესი წარწერა, რომელიც ბგერების გამოსახვისთვის ასოების სისტემას, ანუ ანბანს იყენებს, ეგვიპტეშია აღმოჩენილი და მე-12 დინასტიით, ძვ. წ. 1981-1802 წლებით თარიღდება. როგორც ჰოფლმაიერი წერს, დაახლოებით ძ. წ. 1300 წლით დათარიღებული უფრო ბევრი ნიმუშია აღმოჩენილი ლევანტში (ზონა, რომელიც თანამედროვე ისრაელსაც მოიცავს).

მოგვიანებით, ანბანური სისტემა ბერძნებმა გადაიღეს, მათ შემდეგ რომაელები მიჰყვნენ. ანბანური სისტემის გამოყენება თანდათან სულ უფრო მეტ კულტურაში დაინერგა.

ბოლოს აღმოჩენილი წარწერა დაახლოებით ძვ. წ. 1450 წლით თარიღდება და მას „ნაკლულ რგოლს“ უწოდებენ, რადგან ავსებს იმ ნაპრალს, რომელიც ეგვიპტურ ადრეულ ანბანურ წარწერებსა და მოგვიანებით ლევანტში აღმოჩენილებს შორის არსებობს.

წარწერა ასევე გვთავაზობს გასაღებს იმის შესახებ, როგორ შეიძლებოდა გავრცელებულიყო ანბანი ლევანტში. მკვლევართა ჯგუფის ვარაუდით, ეგვიპტიდან ლევანტში ანბანი შეიძლება გაავრცელეს ჰიქსოსებმა, ჯგუფმა, რომელიც ჩრდილოეთ ეგვიპტეში ძვ. წ. 1550 წლამდე ბატონობდა.



მათი მოსაზრება ეფუძნება იმ ფაქტს, რომ გარკვეული დროის განმავლობაში ჰიქსოსები ერთდროულად აკონტროლებდნენ როგორც ლევანტს, ისე ჩრდილოეთ ეგვიპტეს. მოსაზრება ასევე ეყრდნობა იმ ფაქტსაც, რომ ქილაზე ასოების გამოსახვისთვის იეროგლიფური სიმბოლოებია გამოყენებული.

ახლად აღმოჩენილი ანბანური წარწერა საკმაოდ მოკლეა: პირველი სიტყვა შეიცავს ასოებს „აინ“, „ბეტ“ და „დალეტ“, მეორე სიტყვა კი „ნუნ“, „პე“ და „ტავ“.

ყველა ეს ასო ადრეულ სემიტურ ანბანს ეკუთვნის, რომელსაც ერთ დროს არაბეთის ნახევარკუნძულზე იყენებდნენ; ისინი თანამედროვე ებრაულ ენაშიც გვხვდება, თუმცა ამჟამინდელი სიმბოლოები განსხვავებულია.

ზოგიერთი ამ ასოს გამოსასახად მწერალს იეროგლიფური სიმბოლოები აქვს გამოყენებული; მაგალითად, „აინი“ გამოსახულია იეროგლიფური სიმბოლოთი, რომელიც თვალს ჰგავს.

„სამხრეთ ლევანტის სხვა უმეტესი ადრეული ანბანური წარწერის მსგავსად, ასო წრიული ფორმისაა, წააგავს თვალის ირისს, რომელსაც გუგა აკლია“, — წერს მკვლევართა ჯგუფი.

ჯერ დაზუსტებით არ იციან, რას ნიშნავს ქილაზე დაწერილი სიტყვები, მაგრამ ვარაუდობენ, რომ წერია ორი სახელი. ამ წარწერას „ნაკლული რგოლი“ უწოდეს იმიტომ, რომ ის დაახლოებით 3450 წლის წინანდელია, პირველი ანბანური სიმბოლოები ეგვიპტეში დაახლოებით 3900 წლის წინ გამოჩნდა, მაგრამ ლევანტში ისინი ჩვენთვის მხოლოდ გარკვეული ხნის შემდეგ, 3300 წლის წინ ჩნდება.

პირველ სიტყვაში ასოებით შეიძლება იკითხებოდეს „სლეივ“. მკვლევართა აზრით, შემორჩენილი ასოები უფრო გრძელი სიტყვის ნაწილია.

წარწერა არქეოლოგებმა 2018 წელს, თელ-ლახიშში, უძველეს საფორტიფიკაციო ნაგებობასთან აღმოაჩინეს. იმ ქილის ფრაგმენტების გვერდით, რომელზეც წარწერებია, მკვლევრებმა ასევე მიაგნეს ქერის ნარჩენებს; რადიონახშირბადული დათარიღებით ირკვევა, რომ ქერი დაახლოებით ძვ. წ. 1450 წელს არის მოწეული.

თუმცა, როგორც თელ-ავივის უნივერსიტეტის არქეოლოგიის პროფესორი ბენიამინ სასი შენიშნავს, ქერის მიხედვით წარწერის დათარიღება შეიძლება ზუსტი არ იყოს, რადგან არ არის გამორიცხული, ქერი ქილაზე წარწერის გაკეთების შემდეგ იყოს მოწეული.

კვლევა ჟურნალ Antiquity-ში გამოქვეყნდა.

მომზადებულია Live Science-ის მიხედვით.

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲭᲐᲒᲣᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ

40 წლის წინათ – 1981 წლის 13 მაისს თბილისის „დინამომ“ ევროპას დიუსელდორფის „რაინ-შტადიონიდან“ გადმოხედა

ქართველებმა გვასწავლეს, როგორ უნდა დავდგათ შექსპირი და ვითამაშოთ ფეხბურთიო – წერდა 40 წლის წინათ ინგლისური პრესა.

ეს ჩვენ გვახასიათებს გამორჩეულთა ცაში აყვანა და დანარცხებულთა დაწიხლვა, თორემ კალმის კლასიკოსისა და სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობის სამშობლოში ძველებურად, საუკუნეთა სიღრმიდან გამოყოლილი კონსერვატორულობით, ობიექტურობით, პრაგმატულად და პროფესიულად, მაგრამ ზომიერად აფასებენ მოვლენებს როგორც დადებით, ისე უარყოფით კონტექსტში.

მიხვდით, ალბათ – საუბარია სტურუასეულ „კავკასიურ ცარცის წრესა“ და ახალკაცისეულ „კავკასიურ საფეხბურთო სპექტაკლზე“, ნისლიან ალბიონზე ფურორი რომ მოახდინა.

გაივლის ორიოდე თვე და თბილისის „დინამო“ ლონდონის „აპტონ პარკზე“ „ვესტ ჰემის“ დაჩოქებას როტერდამის „ფეიენოორდთან“ ავსტრიელი მსაჯის ფრანც ვიორერის კრიმინალური საქმიანობით დაჩრდილულ-გაფერმკრთალებულ ღირსეულ შედეგს დაუმატებს, მანამდე კი იყო პროვინციულ ბერძნულ „კასტორიასთან“ და ირლანდიურ „უოტერფორდთან“ შედარებით იოლი გასეირნებები.

ასე მივადექით 13 მაისის ძლევაი საკვირველს, თუმცა, როგორც წინა სეზონმა დაამტკიცა, უკვე მთლად უმაღლესი მწვერვალის დასაპყრობადაც ვიყავით მომწიფებულნი.

დიახ, მხედველობაში გვაქვს ჩემპიონთა თასზე „ლივერპულთან“ გადატანილი ძლევამოსილი ბრძოლა. მართალია, წილისყრამ არც მეორე წრეში გაგვიმართლა, მაგრამ კიგანით გაძლიერებულ ისედაც მრისხანე „ჰამბურგსაც“ ტოლ-სწორად ვეომეთ და თავაწეულები დავემშვიდობეთ ყველაზე პრესტიჟულ ევროპულ საკლუბო ტურნირს.

სხვათა შორის, დღემდე ტაბუდადებულად ითვლება აღნიშნული ბატალიების შუალედში მომხდარი ფაქტის მიზეზი, რაც გუნდთან მისი კაპიტნისა და ერთ-ერთი ბურჯის **მანუჩარ მაჩაიძის** გამოთხოვებაში გამოიხატება, მაგრამ საერთაშორისო სარბიელზე ყველასათვის ანგარიშგასაწევ ანსამბლად ჩამოყალიბებული გრანდისა და მისი ბერმუხა თავკაცის გენია სწორედ იმაშია, რომ ასეთი ერთი შეხედვით ამოუვსები სიცარიელის მიუხედავად გენერალური ხაზი უცვლელი დარჩა და ყველაფერი დიუსელდორფის ტრიუმფით დაგვირგვინდა, რომელსაც კვალიფიციურად უძღვებოდა იტალიელი არბიტრი **რიკარდო ლატანცი**..

აქვე აუცილებლად უნდა შევაწიოთ მადლიერების სტრიქონები იენის „კარლ ცაისსაც“, რომელმაც გათამაშებიდან გამოთიშა სტარტამდე მეტ-ნაკლები დოზით ფავორიტებად მიჩნეული „რომა“, „ვალენსია“ და „ბენფიკა“, რომელმაც, თავის მხრივ, ნომინალური მასპინძელი – „ფორტუნა“ გაუშვა პენსიაზე, მაგრამ ვიმეორებთ – მათთანაც კი თბილისის „დინამო“ როგორც ტაქტიკური თვალსაზრისით, ისე მის ვარსკვლავთა ინდივიდუალური დიდოსტატობით, დიდი ალბათობით, არანაკლები ამბიციებით შეუტევდა ტიტულს.

ისე, როგორც ყოველთვის, დღესაც მოიძებნებიან ჩასაფრებული თანამემამულე „გულშემატკივრები“, რომლებიც ოქროს თაობის მიღწევის დაკნინებას ცდილობენ და ხან იმაზე ქირქილებენ, ვიაჩესლავ კოლოსკოვს უნდა ვუმადლოდეთ, დონეცკის „შახტიორის“ ნაცვლად ჩვენი განაცხადი რომ გაგზავნა უეფაშიო და ხანაც იმაზე აკეთებენ აქცენტს, გერმანელებს ტრავმირებული თავდამსხმელი მარტინ ტროხა რომ აკლდათ, რომელმაც შედეგიანობით წინა ეტაპებზე გამოიჩინა თავიო.

დალოცვილებო, ის აღარ გახსოვთ, მეწყვილის დისკვალიფიკაციის გამო ალექსანდრე ჩივაძე ობლად რომ დარჩა დაცვის ცენტრში და **შოთა ხინჩაგაშვილი** დელეგაციაში საერთოდ არ შეიყვანეს?

თუმცა, რა გვიკვირს – ეს პირველი მსგავსი შემთხვევაა თუ უკანასკნელი? ჩვენ ხომ ქართველები ვართ. სამწუხაროდ, ამ ასპექტშიც!

1981 წელს სრულწლოვანი და სტუდენტი თითქმის ერთდროულად გავხდი, მაგრამ უსაზღვრო სიხარულის იმ გრძნობას, რამაც საბჭოთა საქართველოში 13 მაისის ისტორიულ ღამეს დაისადგურა, ვერაფერი შეედრება. უძლურია ნებისმიერი, თუნდაც პროფესიონალი ორატორის მონათხრობიც – მისით პირადად უნდა დატკბე და იამაყო. ამისათვის უღრმესი **„მადლობა ლომკაცებს“**, როგორც თბილისის აეროპორტის ერთ-ერთ ტრანსპარანტზე ეწერა, მათ კი, ვისაც უდიდესი გულისტკივილით გამოვეთხოვეთ სამუდამოდ, ნათელი და სანთელი!



ვიტალი დარასელია, დავით ყიფიანი, რამაზ შენგელია, ნოდარ ახალკაცი, კახი ასათიანი, გივი ნოდია, სერგო კუტივაძე, ზაქრო თელია (ექიმი), თენგიზ მაჭავარიანი (ადმინისტრატორი), შოთა გორგოძე (დელეგაციის ხელმძღვანელი) და ანზორ გაბიტაშვილი (ფიზიოთერაპევტი), რომელიც რამდენიმე დღის წინათ გახდა უკვდავების ბინადარი და ხვალ, სწორედ 13 მაისს დაკრძალავენ გურჯაანის რაიონის სოფელ ვეჯინში.

აქვე გაუწყებთ, რომ „დინამო“ მეოთხე გუნდი გახდა სოციალისტური ქვეყნებიდან ბრატისლავის „სლოვანის“, გდრ-ის „მაგდებურგისა“ და კიევის „დინამოს“ შემდეგ, ვინც თასების თასი მოიპოვა, ციფრებში კი ჩვენთვის დაუვიწყარი სეზონი ასე დასრულდა:

9 თამაში, 6 მოგება, 1 ფრე, 2 წაგება, ბურთების შეფარდება – 16:5.

გოლების ავტორები: ვლადიმერ გუცაევი, რამაზ შენგელია – 4-4, ვიტალი დარასელია – 3, ალექსანდრე ჩივაძე, თენგიზ სულაქველიძე – 2-2, გიორგი ჭილაია – 1.

შეხვედრების რაოდენობა: ოთარ გაბელია, ალექსანდრე ჩივაძე, თენგიზ სულაქველიძე, დავით ყიფიანი, რამაზ შენგელია – 9-9, ვლადიმერ გუცაევი, ნოდარ ხიზანიშვილი, გია თავაძე – 7-7, თამაზ კოსტავა – 6, შოთა ხინჩაგაშვილი, ზაურ სვანაძე – 5-5, რევაზ ჩელებაძე, დავით მუჯირი, ნუკრი კაკილაშვილი – 4-4, გიორგი ჭილაია – 3, ვახტანგ ქორიძე, ვაჟა ჟვანია – 2-2, გურამ ჩქარეული, კოტე კერესელიძე, გოჩა ჯოხაძე – 1-1.

და ბოლოს: საიუბილეო თარიღს 77-ე წიგნი უძღვნა თანამედროვე საქართველოს კაცმა – არქივარიუსმა, 77 წლის დემიკო ლოლაძემ, რომელსაც „ძლევაი საკვირველი“ უწოდა და, დარწმუნებულნი ვართ, დასახელებული კრებული მომავალ თაობებს ნათელ წარმოადგენას შეუქმნის, ვისი გორისანი არიან.

◎ გვაფასებენ

ელიტის ზღურბლთან

უკვე გაუწყეთ, რომ 13 ნოემბერს საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები ბორდოში შემოდგომის ტესტების პროგრამით საფრანგეთის გუნდს შეხვდება.

და აი, ახალი მიწვევა გრანდისგან: ამჯერად „ბორჯღალოსანთა“ ღვაწლი მსოფლიო თასის სამგზის მფლობელმა და მოქმედმა გვირგვინოსანმა – სამხრეთ აფრიკამ გაითვალისწინა, სადაც ივლისში მრისხანე მეტოქის წინააღმდეგ ერთბაშად ორ მატჩს გავმართავთ.

აქამდე „ბოკესთან“ ერთადერთი ბრძოლა 2003 წლის ფორუმზე გვაქვს გადატანილი და მაშინ 19:46 დავმარცხდით.

◎ ჩემპიონთა ლიგა

ტიტულიც, სიმბოლურიც

საქართველოს საკალათბურთო ნაკრების ნატურალიზებული უკანახაზელი თად მაკფადენი ესპანური „ბურგოსის“ შემადგენლობაში ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული ზედიზედ მეორედ გახდა.

ნიჟნი ნოვგოროდში გამართული „რვათა ფინალის“ სატიტულო ბრძოლა მისმა კლუბმა თურქეთის „ქარშიაქას“ 64:59 მოუგო და „ჯვაროსანი“ პარტნიორებს სწორედ 5 ქულით შეეწია, ხოლო მანამდე ისრაელის „ჰაპოელი“ და ფრანგული „სტრასბურგი“ დაამარცხა, ვისთანაც გიორგი შერმადინის „ტენერიფემ“ მეოთხედფინალური მატჩი დამატებით დროში 86:88 წააგო.

მიუხედავად ნაადრევი ფინიშისა, კუნძულელთა ქართველი ლიდერი, მთელი სეზონის განმავლობაში შთამბეჭდავი პირადი მონაგრისა და ბრწყინვალე თამაშის გათვალისწინებით, დამსახურებულად შეიყვანეს რანგით მეორე ევროტურნირის სიმბოლურ ხუთეულში, რომელმაც საბოლოოდ ასეთი სახე მიიღო: **სი ჯეი ჰარისი („ჰოლონი“, ისრაელი), კეისი შეფარდი („ნიჟნი ნოვგოროდი“, რუსეთი), ბონზი კოლსონი („სტრასბურგი“), რეიმარ მორგანი („ქარშიაქა“), გიორგი შერმადინი („ტენერიფე“).**

მამაკაცი ქალზე აღრე კვდება საქართველოში!

ქალი მამაკაცზე დიდხანს ცოცხლობს. ეს ტენდენცია მსოფლიოს ყველა ქვეყანას ახასიათებს, თუმცა დემოგრაფები ამბობენ, რომ საქართველოში, განვითარებული ქვეყნებისგან განსხვავებით, სხვაობა გაცილებით თვალშისაცემია.

საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, საქართველოში ქალი საშუალოდ 78.4 წელს ცოცხლობს, მამაკაცი კი – 69.8 წელს, ანუ განსხვავება თითქმის 9 წელია, განვითარებულ ქვეყნებში კი სხვაობა 4-5 წელს არ აღემატება.

უფრო მეტი პასუხისმგებლობა აძვს. ამ ყველაფრის გამო იზრდება ძვრივობის მაჩვენებელი, შრომის ბაზარს კი ახალგაზრდა ადამიანი აკლდება“.

90-იანი წლებიდან მოყოლებული დემოგრაფები ამჩნევენ, რომ სულ უფრო მეტი მამაკაცი იღუპება 40-45 წლის ასაკში. მაგალითისთვის, 2020 წელს საქართველოში 40-49 წლის ასაკის 436 ქალი და 1 440 მამაკაცი გარდაიცვალა. ესეც მსოფლიო ტენდენციაა და მხოლოდ საქართველოს არ ახასიათებს.

„ინფარქტი და, ზოგადად, გულს-სისხლძარღვთა დაავადებები ამ პერიოდში ძალიან ხშირია. სტრესი, არაჯანსაღი ცხოვრების წესი იწვევს სიკვდილიანობას.

როგორ ზრუნავს ხალხი საკუთარ ჯანმრთელობაზე, ამის კომპლექსური კვლევა საქართველოში არ ჩატარებული, თუმცა ჩატარდა კონკრეტულად ახალგაზრდებში და გამოიკვეთა, რომ თავის მოვლის უნარ-ჩვევები მათ ნაკლებად აქვთ. თუ ახალგაზრდებში ასეა, უფროსებში რაღა იქნება?“, – ამბობს მზია შელია.

გარდაცვალების მიზეზებზე როცა ვსაუბრობთ, სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოში ყველაზე მეტი ადამიანი სისხლის მიმოქცევის დაავადებებით კვდება. 2019 წელს მათი რიცხვი 21 448 იყო. ამავე წლის მონაცემებით, მას მოსდევს სიმსივნე – 7 873; ტრავმები და მოწამვლები – 6 177; სასუნთქი სისტემის ავადმყოფობები – 3 303; საჭმლის მომნელებელი სისტემის ავადმყოფობები – 1 517, საიდანაც 931 შემთხვევა მამაკაცებზე მოდის.

მამაკაცისა და ქალის სიცოცხლის ხანგრძლივობას შორის 8-9-წლიან განსხვავებას ანომალიურად მიიჩნევს დემოგრაფი **ავთანდილ სულაბერიძე.**

„ნორმალურ ქვეყანაში ასე არ უნდა იყოს, მაგრამ ჩვენ, ზოგადად, ძალიან დაბერებული ქვეყანა ვართ. მოსახლეობის 15 %-ზე მეტი 75 წელს გადაცილებულია. დაბერებულთა რაოდენობაში ქალები მამაკაცებს სჭარბობენ, განსაკუთრებით 70-75 წლის ზემოთ“.

იმისთვის, რომ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა თუნდაც ერთი წლით გაიზარდოს, სახელმწიფოში უამრავი სოციალური და ეკონომიკური რეფორმა უნდა განხორციელდეს.

იმასთან დაკავშირებით, თუ კონკრეტულად რა შედეგამდე მივყავართ ქალისა და მამაკაცის სიცოცხლეს შორის ასეთ სხვაობას, საქართველოში კვლევები არ ჩატარებულა, ამიტომ გაეროს განვითარების პროგრამის გენდერული თანასწორობისა და სოციალური ინკლუზივის მიმართულების ხელმძღვანელი ლელა აქიაშვილი ამ თემაზე მხოლოდ რეგიონებში მუშაობისას მიღებულ გამოცდილებასა და საკუთარ დაკვირვებებზე დაყრდნობით ლაპარაკობს.

„ზოგადად, ქალებს ნაკლებად მიუწვდებათ ხელი კაპიტალზე, ნაკლებად არიან აქტიურები, ნაკლებად აქვთ ქონებრივი უფლებები. აქ იგულისხმება, ასევე, აუნაზღაურებელი შრომა, რომლის დიდი წილი სწორედ ქალებზე მოდის, და მიწის ფლობასთან დაკავშირებული პრობლემები“.

ლელა აქიაშვილი ამბობს, რომ ხანდაზმულობაში ადამიანის წინაშე კიდევ უფრო მძაფრად იჩენს თავს იმ პრობლემების შედეგები, რომლებიც მას ჯერ კიდევ ახალგაზრდას და შრომისუნარიანს ჰქონდა.

თეა თოფურია,
რადიო თავისუფლების ჟურნალისტი

არდავიწყება

ო.კიკალიშვილი და ი. ოსიპოვი

13 მაისს 85 წელი შეუსრულდებოდა ჩვენს უსაყვარლეს ვაჟკაც კაცს, თბილისის ყველა სტუმრის მასპინძელს, ფარიკაობაში საქართველოს მრავალგზის და საკავშირო სტუდენტური თამაშების ჩემპიონს, სპორტის ოსტატს

ოთარ კიკალიშვილს

გვიხარია, რომ შენი ოჯახი ღირსეულად აგრძელებს შენს ტრადიციებს.

ვეტარანი მოფარიკავეები და შენი მეგობრები:

იური ოსიპოვი, გურამ კოსტავა, გივი ცაგარელი, აჩიკო გოგელია, ზურაბ ცქიტიშვილი, ზაზა მჭედლიძე, დავით სახვაძე, ირაკლი მელაძე, ჯემალ კალანდაძე, გოგი თოფაძე, მიშა სავიცკი.

სანთელი

მეუღლე ნანა ანდრიაშვილი, შვილები თეონა, ეკა, ნინო, სიძე თემურ გაფრინდაშვილი, შვილიშვილები გიორგი, ანა, ნუცა, ელენე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ჯიმშერ ჯაჯანიძე

გამოსვენება 13 მაისს, 13.30 წთ-ზე წმინდა ბარბარეს ეკლესიიდან, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი №62.

სააქციო საზოგადოება „არქეოპოლისის“ თანამშრომლები გულწრფელად თანაუგრძნობენ ეკა, ნინო, თეონა ჯავჯანიძეებს მამის

ჯიმშერ ჯაჯანიძის

გარდაცვალების გამო.

ამირან გამყრელიძე: ივნისის ბოლოსთვის, 300-მდე ამცრელი ბრიგადა გვეყოლება



უფრო მეტს უნდა აცრა, ვიდრე ვაწოდებთ ამ ეტაპზე და საჭიროა, უფრო მეტად გავაინტესიუროთ ეს პროცესი. დღეისთვის ავიყვანეთ 161 ბრიგადაზე, რომელიც ცრიან მოქალაქეებს.

ეს ბრიგადები ყოველდღიურ რეჟიმში არ მუშაობენ. „დღეს დავაყენეთ საბჭოზე ეს საკითხი და გვინდა, რომ 7-დღიან სამუშაო რეჟიმზე გადავიდეთ. გვინდა, რომ ამ თვის ბოლოსთვის, 161-დან 200 ბრიგადამდე ავიდეთ. თითო ბრიგადა დღეში 42-დან 50-მდე აცრას აკეთებს. ივნისის ბოლოსთვის, 300-მდე ბრიგადა უნდა იყოს, რომელიც დღეში 15000-მდე აცრას ჩაატარებს. ასეთია ჩვენი გეგმა, მაგრამ ამას უნდა მოყვებოდის ვაქცინის საკმარისი მარაგი“...

სიკვდილობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გუშინ დადასტურდა!

11 მაისს დაიღუპა 31 ადამიანი. სიკვდილობის მაჩვენებელი ორი კვირით ჩამორჩება ინფიცირების ზრდის მაჩვენებელს. ამ და სხვა პარამეტრების მიხედვით, ვფიქრობთ რომ ვართ პიკში. თუ ძალიან არ გავლაღდებით, ორი კვირის შემდეგ ინფექციამ უკუსვლა უნდა დაიწყოს...

ძმები არველაძეები „სინოფარმის“ ვაქცინით აიცრნენ

არჩილ **და შოთა არველაძეები, თბილისის ინფექციურ საავადმყოფოში, კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინით აიცრნენ. მათ ჩინური წარმოების „სინოფარმის“ დოზა გაიკეთეს. შოთი არველაძემ კორონავირუსი 2020 წლის შემოდგომაზე გადაიტანა.**

საქართველოში ვაქცინაციის პროგრამა აქტიურად გრძელდება და ვაქცინირებულთა რაოდენობა 70 000-ს უახლოვდება. დღეში ჩატარებული აცრების რაოდენობა 5 000-ს მიუახლოვდა.

სასჯელი გამკაცრდა!!!

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადდა საკანონმდებლო ცვლილების პროექტი, რომელიც მთავრობას წარედგინა. კანონპროექტის მიხედვით მკაცრდება ნარკოტიკული საშუალების, ახალი ფსიქოაქტიური, ფსიქოტროპული და ძლიერმოქმედი ნივთიერებების გასაღებისთვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სასჯელები.

შსს-ს ცნობით, ბოლო პერიოდის პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ ნარკოტიკული საშუალების გასაღებისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დღეს მოქმედი სანქცია, სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს შემაკავებელი ფუნქციის შესრულებას. ნარკოტიკული საშუალების გასაღებით მიღებული მნიშვნელოვანი ფულადი სარგებელი, უმეტესად ხელს უწყობს ახალი დანაშაულის ჩადენას და ამ სფეროში არაერთი პირის ჩართვასაც.

„სწორედ ამ ფაქტორებითაა ნაკარნახევი სახელმწიფოს მხრიდან პოლიტიკის გამკაცრება ნარკოტიკების გამსაღებლების მიმართ. წარდგენილი კანონპროექტით ნარკოტიკული საშუალების გასაღებისთვის სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის მინიმალური ოდენობა 6-დან 10 წლამდე გაიზრდება. ასევე, 12-დან 17 წლამდე თავისუფლების აღკვეთით დაისჯება ის პირი, ვინც დიდი ოდენობით გაასაღებს ნარკოტიკულ საშუალებას“.

მურთაზ ფაცაცია იუბილარია!

გვქამამქმბა და გვახარებს, რომ ზუგდიდის ქუჩებში დადის ჩვენი თანაკლასელი და სიყრმის მეგობარი, ღირსეული პიროვნება, სულიერი სილამაზითა და სიფაქიზით შემკობილი, სულით ხორცამდე კოლხი ინტელიგენტი, აწ უკვე 80 წლის მურთაზ ფაცაცია.

გამორჩეული პროფესიონალი, ავტორიტეტული პიროვნება წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქვეყნოდ ცნობილ ზუგდიდელ სოფლის მეურნე-მექანიზატორთა მრავალრიცხოვან კოლექტივს, იყო „სოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანებისა და სხვადასხვა ორგანიზაციების წარმატებული ხელმძღვანელი.

მურთაზი თავის და-ძმასთან ერთად მთელ ზუგდიდში ცნობილი და დაფასებული მშობლების ღირსეული შვილია. მისთვის განსაკუთრებული სიამაყე და ბედნიერებაა ბრწყინვალე ოჯახი. იგი გულისხმიერი მეუღლე, მამა და ბაბუაა.

ღმერთმა გიმრავლოს შთამომავლობა, ძვირფასო ძმაო და მეგობარო, სულის სიმშვიდე და ჯანის სიმრთელე გარგუნოს უფალმა, მრავალჟამიერ!

საიუბილეო თარიღს თანაკლასელებისა და მრავალრიცხოვანი მეგობრების სახელით გილოცავთ

გულო დარსალია,
ფასო შელია, ჯემალ კვირტია.

მუზეუმის პრობლემებს მინისტრი მოაგვარებს

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი საქართველოს ხელოვნების სასახლის გენერალურ დირექტორთან, გიორგი კალანდიასთან ერთად ხალხური და გამოყენებითი ხელოვნებისა და ხალხური საკრავების მუზეუმებს ეწვია. მინისტრმა დაათვალიერა სამუზეუმო კოლექციები და პირადად გაეცნო მათ მდგომარეობას.

ხალხური და გამოყენებითი ხელოვნებისა და ხალხური საკრავების მუზეუმები 2019 წელს საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის სტრუქტურული ერთეულები გახდნენ და ორივე მუზეუმს აქვს როგორც შენობის, ასევე საცავების მნიშვნელოვანი პრობლემა. სწორედ ამ საკითხზე და მუზეუმების განვითარების შესაძლებლობებზე იმსჯელეს თეა წულუკიანმა და გიორგი კალანდიამ.

რეფორმები სახელოვნებო სასწავლებლებში

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროში სახელოვნებო განათლებაში გასატარებელ რეფორმაზე იმსჯელეს. კულტურის მინისტრმა თეა წულუკიანმა, მინისტრის პირველ მოადგილე კახა სიხარულიძესთან და მოადგილე იოსებ ბაღათურიასთან ერთად სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სამი სახელოვნებო უმაღლესი სასწავლებლის — საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ხელმძღვანელობასთან მორიგი შეხვედრა გამართა.

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, რეფორმა უნდა ჩატარდეს იმ მიმართულებით, რომ სახელოვნებო სასწავლებლებმა უნდა გამოუშვან ისეთი კადრები, რომელთა საჭიროება შესაბამის სფეროებში არის. მათ შორის, უნდა აღდგეს ისეთი პროფესიები, რომლებისთვისაც ამ ეტაპზე უმაღლეს სახელოვნებო სასწავლებლებში სასწავლო პროგრამები არ არსებობს, თუმცა ქვეყანაში არის ამ პროფესიების დეფიციტი. შეხვედრაზე შედგა შეთანხმება, რომ სწორედ ამ მიმართულებით უნდა გააკეთონ გათვლები უმაღლესმა სახელოვნებო სასწავლებლებმა და სამინისტროს წარუდგინონ ხედვა, თუ როგორ აპირებენ მათ სფეროში რეფორმის გატარებას.

◎ ნამცვრევები

ვაი, რომ იგივე ვართ მარად და მარად!

ამ უქმეებზე საქმის გამო მეგობარს ვეწვიე. იმას კი ახლობელი სტუმრობდა, ახალგაზრდა კაცი, რომელსაც უმაღლესი განათლება ამერიკაში მიეღო და უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იქვე კარგი ჯამაგირიანი სამსახურიც ეშოვა.

— დაბრუნებას არ აპირებ? — ჰკითხა მასპინძელმა.

— რას ამბობ?! — გაიოცა სტუმარმა. — ნეტა, ამ დამპალ საქართველოში უწინაც არ მეცხოვრა... ის კი არა, იმას ვფიქრობ, ჩემები როგორ წავიყვანო იქით.

გული დამწყდა... თავი შეურაცხყოფილადაც ვიგრძენი, მაგრამ „გაამერიკელებულს“, მეგობრის ხათრით, ვერაფერი ვკადრე. შინ მიმავალს გზად ჟურნალ „ცისკარში“ ამოკითხული სიტყვები გამახსენდა: „ღუთის გულისათვის ეს რა ზნეობა არის: ზოგი ერთი ქართველი მაღალის სასწავლებელში ნამყოფი განათლებაზედ თავსა სდებს და თავის მამულის ღირსება არ იცის. განათლებულ კაცსა მამული სძულდეს?! იმას განათლებული გონება კი არა, უფრო დაბნელებული უნდა ჰქონდეს. პირველი განათლება კაცისა მასში მდგომარეობს, რომ უყვარდეს მამული. რაკი სძულს თავისი სამშობლო, ყოველივე, ის ზემოთაც ვსთქვი, განათლებულთ რიცხვში აღარ არის“ (მოლაყბე (თ-დ მიხეილ თუმანიშვილი), ჟურნალი „ცისკარი“, 1858 წელი, გვ. 234).

ეჰ... თურმე, მართალი ყოფილა, დედამიწა ბრუნავსო!..

წამიყვანეთ ჯორჯიაში

მათი ოჯახი 20 წლის წინათ „მწვანე ბარათით“ გადასახლდა ამერიკაში. ფილადელფიაში ცხოვრობენ, მაღალი სახლის მერვე სართულზე. არაფერი აკლიათ.

მთელი დღის ნაჯაფდაქანცულები შინ რომ ბრუნდებიან, მოძალებულ ნოსტალგიას ქართული არხების ცქერით იქარვებენ.

იმ საღამოსაც ტელევიზორის წინ მოეკალათებინათ თავი და ქართულ კინოს უყურებდნენ. ფილმის ერთი გმირი — ცამეტიოდე წლის ბიჭი წითელი ვაშლით დახუნძლულ ხეს მიუახლოვდა, ნაყოფი მოწყვიტა, ხელი გადაუსვა და გემრიელად ჩაკბიჩა.

— ბუსა, ბუსა, შენს ჯორჯიაში მართლა შეიძლება ხიდან მოწყვეტილი ვაშლის ჭამა? — ეკითხება დამტვრეული ქართულით რვა წლის მაიკლი თეთრწვერა კაცს.

— შეიძლება, ბაბუ, შეიძლება, — დაუმოწმა მოხუცმა.

— წამიყვანეთ ჯორჯიაში! — იყვირა პატარამ.

ვაჟა დანელია

ბაბლუანი ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტებთან

ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტებს საფრანგეთში მოღვაწე ქართველი კინორეჟისორი გელა ბაბლუანი შეხვდა.

ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში კინორეჟისორმა საქართველოში მის მიერ დაფუძნებული ფრანგული კინოსკოლის პრეზენტაცია გამართა. საფრანგეთში მოღვაწე ქართველი ხელოვანი KIU-ს სტუდენტებს შეხვდა და მათ საკუთარი ნამუშევრების შესახებ მოუყვა. ახალგაზრდებს საშუალება ჰქონდათ, რეჟისორის შემოქმედებას გაცნობოდნენ. შეხვედრას, სტუდენტებთან ერთად, უნივერსიტეტის კანცლერი მაგდა მაღრაძე და KIU-ს თანამშრომლები დაესწრნენ.

2021 წლის 8-12 მაისს, ქუთაისის მერიისა და საქართველოს ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით, ქუთაისის საერთაშორისო მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალი ტარდება. სწორედ ამ პროექტის ფარგლებში ესტუმრა რეჟისორი გელა ბაბლუანი ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 14 მაისს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.4174; ევრო - 4.1590;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.8182;
100 რუბლი - 4.6231; თურქული ლირა - 0.4147;
აზერბაიჯანული მანათი - 2.0118;
1000 სომხური დრამი - 6.5525.

ამინდი 12 მაისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+5,	დღე	+26
მთიანი რაიონები -	ღამე	0,	დღე	+25
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+6,	დღე	+28
მთიანი რაიონები -	ღამე	0,	დღე	+26
თბილისი:	ღამე	+9,	დღე	+25

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge